

ყურანი და ქალი

წმინდა ტექსტის ხელახალი წაკითხვა ქალის პერსპექტივიდან

ავტორი ამინა ვადუდი

ინგლისურიდან თარგმნა ნანა სარალიშვილმა



მე-4 თავი

ქალის უფლებები და როლები: ზოგიერთი წინააღმდეგობა

შეუძლებელი იქნება ვიმსჯელოთ ყურანში მოცემულ ნებისმიერ თემაზე ისე, რომ სრულად მოვიცვათ ყურანში ამ თემასთან დაკავშირებული ყველა მონაკვეთი. ასევე, შეუძლებელი იქნება, ხაზგასმით ვისაუბროთ ყურანის იმ ტექსტების მნიშვნელობის შესახებ, რომელიც კაცობრიობის დედამიწაზე არსებობას ეხება. ტექსტი დედამიწის მაცხოვრებლებამდე გამოცხადების გზით მოვიდა; ჩვენც ამ ტექსტის კითხვისას თუ მის შესახებ მსჯელობისას, დედამიწაზე ვართ. ამგვარად, ამ პლანეტაზე ჩვენი არსებობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ ამ ტექსტს; ისევე, როგორც ეს ტექსტი თავად ახდენს გავლენას ჩვენს აღქმაზე. უფრო მეტიც, რადგანაც ყურანის მიზანი ადამიანების საქმეების წარმართვაა, ამ ტექსტის გააზრებასა და გამოყენებას დედამიწაზე ცხოვრების კონტექსტში უნდა გაესვას ხაზი.

როდესაც დედამიწაზე ქალების შესახებ ყურანის პერსპექტივიდან ვსაუბრობ, გარკვეული პრობლემაა იმის აღქმაში, თუ რას ამბობს ყურანი ამ საკითხებზე. დედამიწაზე ჩვენი ქმედებები ჩვენივე მსოფლმხედველობით ყალიბდება (და პირიქით). ჩვენ ჯერ არ მიგვიღწევია ყურანისეული უტოპიისათვის. კამათი იწყება, როგორც კი განსხვავებული მოსაზრებები მყარდება ყურანისეულ მოძღვრებაზე, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ ამ სამყაროში. ყურანი მხარს არ უჭერს ბევრ პოპულარულ და დომინანტურ მოსაზრებას ქალის როლის შესახებ. ამაზე მითითება პრობლემებს წარმოშობს, არა იმდენად ტექსტის ლოგიკური ანალიზისთვის, არამედ ახალი ანალიზის შემოტანისთვის იმ კონტექსტში, რომელშიც მუსლიმური საზოგადოებები ცხოვრობენ.

ნებისმიერი ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზი სამ განსხვავებულ ასპექტს უნდა დაუპირისპირდეს იმისთვის, რომ დასკვნებს საკმარისი მტკიცებულება ჰქონდეს: 1. კონტექსტი, რომელშიც ტექსტი დაიწერა (ყურანის შემთხვევაში, კონტექსტი, რომელშიც ის გაცხადდა); 2. ტექსტის გრამატიკული სტრუქტურა (როგორ გადმოსცემს ის სათქმელს); 3. მთელი ტექსტი, მისი *Weltanschauung* ან მსოფლმხედველობა. ხშირად, განსხვავებული მოსაზრებების მიზეზი ამ სამ ასპექტს შორის აქცენტების ცვალებადობაში შეიძლება მოიძებნოს.

შერჩეულ ცნებებს, ტერმინებსა და აიებს შემდეგი პერსპექტივებიდან განვიხილავ: 1. არც ქალს და არც კაცს, არანაირი თავისთავადი ღირებულება არ ეძლევათ. მეტიც, არ არსებობს თვითნებური, წინასწარგანსაზღვრული თუ უცვლელი იერარქიის სისტემა. 2. ყურანი მკაცრად არ განაცალკევებს ქალისა და კაცის როლებს ისე, რომ თითოეულ გენდერს მხოლოდ ერთი მიზანი დაუდგინოს (თითქოს ქალმა აუცილებლად ერთი როლი უნდა მოირგოს, და

მხოლოდ ეს ერთი როლი იქნება მათი, კაცებმა კი სხვა როლი უნდა შეასრულონ და ამ როლის შესრულება მხოლოდ კაცებს შეუძლიათ).

იმისთვის, რომ ეს საკითხები თვალნათლივ წარმოვაჩინო, დეტალურად განვიხილავ ყურანის მონაკვეთებს, რომლებიც ხშირად ისე განიმარტება, თითქოს ქალების მიმართ კაცების უპირეტესობაზე მიანიშნებდეს. ამასთან ერთად, ყურანისეული ცნებების გამოყენებით ვაჩვენებ მეტად ინტეგრირებულ საზოგადოებრივ პერსპექტივას, რომელიც საზოგადოებაში ინდივიდის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება.

ზოგადად, ტექსტის რიგ მონაკვეთებს მხოლოდ გარკვეულ თემასთან, მოვლენასთან, ან კონტექსტთან მიმართებაში განვიხილავ. ეს შეზღუდვა ეფუძნება აიების კონტექსტს, ან ყურანისეული ზოგადი ცნებების გამოყენებას, როგორცაა: სამართლიანობა კაცობრიობისადმი, ადამიანის ღირსება, თანასწორობა კანონისა და ღმერთის წინაშე, ურთიერთპატივისცემა, ადამიანებს შორის სამართლიანი ურთიერთობები.

კიდევ ერთი განსხვავებული ასპექტი, რომელსაც გავითვალისწინებ, ყურანში ქრონოლოგიური განვითარების მნიშვნელობაა. ყურანი ადამიანთა ურთიერთობების, მორალისა და ეთიკის განვითარების ლოგიკურ პროგრესიას ასახავს¹, რომელიც ვლინდება ყურანის გამოცხადების პარალელურად მუსლიმი საზოგადოებების ზრდასა და განვითარებაში.

დედამიწაზე არსებული ფუნქციური განსხვავებები

მესამე თავში განვიხილავ, რომ ყურანი ქალს ინდივიდად აღიქვამს, ისევე, როგორც კაცს. განსხვავება მხოლოდ ღვთისმოსაობაში² მდგომარეობს. ღვთისმოსაობა გენდერით არ არის განპირობებული. ყურანი, ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს საზოგადოება; აღიარებს, რომ სოციალურ სისტემაში გარკვეული ფუნქციური განსხვავებებით ვარსებობთ. იმ კავშირს, რომელსაც ყურანი აჩვენებს ამქვეყნიურ განსხვავებებსა და ღვთისმოსაობას შორის, ადამიანებს შორის სამართლიანი ურთიერთობების ჩემულ განხილვაში მნიშვნელოვანი როლი უკავია. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყურანში არსებული ფუნქციური განსხვავებები იმ იდეის მხარდასაჭერად გამოიყენება, რომლის მიხედვითაც კაცები თავისთავად ქალებზე უპირატესები არიან.

ფუნქციური განსხვავებები როლებსა და ამ როლებთან დაკავშირებულ მოლოდინებზე მიანიშნებს. რამდენად განსაზღვრავს ყურანი ფუნქციებს თითოეული გენდერისთვის?

¹ იხილეთ, მაგ. S. H. A. L. Shamma, *The Ethical System Underlying the Qur'an* (Tubingen: Hopfer Verlag, 1959), სადაც საუბარია ყურანში არსებულ თითოეულ ეთიკურ პრინციპზე ყურანისეულ ქრონოლოგიასთან მიმართებაში.

² تقوى /taqwa/ - ღვთისმოსაობა

არსებობს გარკვეული გამონაკლისები და განსხვავებული მოპყრობა ქალებისა და კაცებისადმი? რამდენად აყენებს ყურანი ზოგიერთ ფუნქციას სხვებზე მაღლა?

ქალი მხოლოდ ბიოლოგიით არ განისაზღვრება

ხშირად ქალის ძირითად ფუნქციად ბავშვის გაჩენას წარმოაჩენენ ხოლმე, რადგანაც ქალი ძირითადად სწორედ ამ შესაძლებლობით გამოირჩევა. სიტყვა „ძირითადი“-ს გამოყენებას უარყოფითი კონოტაციები ერთვის, რადგან სწორედ ამის გამო მიიჩნევა, რომ ქალებს მხოლოდ დედობა შეუძლიათ. სწორედ ამის გამოა, რომ ქალების აღზრდა მთლიანად იმისკენაა მიმართული, რომ ერთგულ ცოლებად, იდეალურ დედებად ჩამოყალიბდნენ და ამ როლების შესაბამისი ფუნქციები შეასრულონ.

ყურანში არ არსებობს ცნება, რომელიც შვილის გაჩენას ქალის „ძირითად“ ფუნქციად მოიაზრებს. არანაირი მინიშნება არ არსებობს იმაზე, რომ დედობა ქალის ექსკლუზიური როლია. ყურანი იმ ფაქტზე მინიშნებს, რომ ქალი (თუმცა, არა ყველა ქალი) ერთადერთია, რომელსაც შვილის გაჩენა შეუძლია. ეს შესაძლებლობა ადამიანების არსებობის გასაგრძელებლად უმნიშვნელოვანესია. ეს ფუნქცია მხოლოდ კაცობრიობის არსებობის უწყვეტობის თვალსაზრისით არის „ძირითადი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგან მხოლოდ ქალებს შეუძლიათ შვილის გაჩენა, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მათ აუცილებლად ჰყავდეთ შვილები.

მართალია ყურანი ქალის ფუნქციას მხოლოდ დედობით არ შემოსაზღვრავს, მაგრამ ტექსტი ხაზს უსვამს პატივისცემას, თანაგრძნობასა და პასუხისმგებლობას, რაც ქალს გამრავლების უნარიდან გამომდინარე ახასიათებს. „ო, კაცნო... გეშინოდეთ ალაჰისა, ვისი სახელითაც ერთმანეთს უცხადებთ საკუთარ უფლებებს, და გეშინოდეთ ნათესაურ კავშირთა დაწყვეტისა“. (ყურანი 4:1) ეს აია, როგორც წესი, ზოგადად ქალისადმი პატივისცემის მიმანიშნებლად მიიჩნევა.³ ამ აიას მე ხაზს ვუსვამ, როგორც ქალის ნაყოფიერების უნარის პატივისცემის მაჩვენებელს. არ ვაკნინებ ქალისადმი, როგორც კლასისადმი პატივისცემას, მაგრამ ხაზს ვუსვამ ყურანის პერსპექტივიდან შვილის გაჩენის ფუნქციის მნიშვნელობას, რომელიც ექსკლუზიურად ქალის მიერ სრულდება.⁴ ამ ფუნქციის შესრულებისადმი

³ ამ აიას ინგლისურ თარგმანში „ნათესაური კავშირი“ ნათარგმნია, როგორც „საშვილოსნო, რომელმაც გშობათ“ (O humankind . . . have taqwa towards Allah in Whom you claim your rights of one another, and (have taqwa) towards the wombs (that bore you). ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ „საშვილოსნო, რომელმაც გშობათ“ ასევე შეიძლება დანახული იყოს ნათესაური კავშირების მეტაფორად“. (მთარგმნ. შენიშვნა)

⁴ ამ არგუმენტის მეტი დასაბუთებისთვის, იხილეთ ჩემი მსჯელობა წიგნის მეორე თავში „მარიამი, იესოს დედა“.

პატივისცემა გვეხმარება განვმარტოთ, როგორ აკისრებს ყურანი გარკვეულ ფუნქციას კაცებს, რაც ადამიანურ ურთიერთობებში ბალანსს ქმნის.⁵

სხვა არც ერთი ფუნქცია არ არის ექსკლუზიურად რომელიმე ერთი გენდერისადმი მიკუთვნიებული. აქ უნდა გავიხსენოთ გავრცელებული მცდარი აზრი, რომლის მიხედვითაც, რადგან მხოლოდ კაცებს აქვთ *სამოციქულო შეტყობინების*⁶ პასუხისმგებლობა, ეს კაცების, როგორც კლასის განსაკუთრებულობაზე მიანიშნებს. კაცთა და ქალების ღვთიური კომუნიკაციის ნაწილია, როგორც გარდამოვლინების მიმღები⁷, თუმცა ყურანში არ გვხვდება მაგალითი, რომლის მიხედვითაც ქალს სამოციქულო შეტყობინების პასუხისმგებლობა ეკისრება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პასუხისმგებლობის შესასრულებლად შერჩეული ყველა ადამიანი, გამორჩეული იყო.

სამოციქულო შეტყობინება ყურანში კაცების ძირითად ფუნქციად არ არის წარმოდგენილი და ის არც მათ უნივერსალურ როლს გამოხატავს. უფრო მეტიც, თუკი გავითვალისწინებთ, თუ რამხელა წინააღმდეგობას აწყდებოდნენ კაცები, როდესაც ცდილობდნენ სხვები *შეტყობინების* მიღებაში დაერწმუნებინათ, განსაკუთრებით, თუ ისინი ღარიბ კლასს წარმოადგენდნენ, შესაძლოა შეტყობინების წარუმატებლობა უფრო მაღალი ყოფილიყო ქალების შემთხვევაში, რადგან უმრავლეს საზოგადოებაში ქალებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდათ. შესაბამისად, ეს უფრო ეფექტური სტრატეგიის საკითხი იყო და არა კაცის ღვთიური უპირატესობის გაცხადება.⁸

გარდა ზემოხსენებული ორი ფუნქციისა, სხვა ყველა ფუნქციის შესრულება, რეალურად ან პოტენციურად, კაცსაც შეუძლია და ქალსაც. თუმცა, ინდივიდებს შორის ფუნქციური განსხვავებების ფართო სპექტრი არსებობს, რომელიც ყურანში განიხილება. ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი კითხვები უნდა დავსვათ: რა მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდებს შორის ფუნქციურ განსხვავებას? რამდენად განსაზღვრავს ეს ფუნქციური განსხვავებები და მათთან დაკავშირებული ღირებულებები კაცებისა და ქალების მნიშვნელობას საზოგადოებაში? ეს ღირებულებები ყურანიდან გამომდინარეობს თუ მის მიღმა არსებობს?

ყურანის რამდენიმე აია ხშირად გამოიყენება ქალებთან მიმართებით კაცების თავისთავადი უპირატესობის დასამტკიცებლად. ამ აიებში ორი ტერმინი გვხვდება, რომლებიც დედამიწაზე ინდივიდებსა თუ ჯგუფებს შორის ფუნქციური განსხვავების მიხედვით მათ ღირებულებაზე მიანიშნებს. მიმოვიხილავ ამ ტერმინებს, როგორც ყურანში, ისე, ყურანისეული სამართლიანობის ზოგად კონტექსტში მათი გამოყენების თვალსაზრისით.

⁵ ამაზე უფრო დეტალურად შემდეგში ვისაუბრებ.

⁶ رسالة /risāla/ – სამოციქულო შეტყობინება, ქადაგება.

არსებობს განსხვავება გარდამოვლინებისა (وحي /wahy/) და სამოციქულო შეტყობინების (risāla) (ღვთიური შეტყობინების მიღება კაცობრიობის ბედისწერის შესახებ, რომელიც მოიცავს ამ გარდამოვლინებით მიღებული ცოდნის გაზიარებას ზოგადად ადამიანებისათვის) შორის.

⁷ وحي /wahy/ გარდამოვლინება; ქალებს შორის გარდამოვლინების მიმღები იყვნენ მარიამი და მოსას დედა.

⁸ იხილეთ, მაგალითად, აია 22:74(75)

პირველი ტერმინი არის *ხარისხი*⁹ ხარისხის მიხედვით განსხვავდებიან არა მხოლოდ ადამიანები დედამიწაზე, არამედ ზესთასოფელი და დედამიწაც¹⁰ განსხვავდება ხარისხებით. ასევე განსხვავდება სამოთხისა და ჯოჯობეთის სხვადასხვა დონეები. მეორე ტერმინი, *faddala*¹¹ ხშირად გამოიყენება ხარისხთან ერთად. *Faddala*-ს მე ვთარგმნი, როგორც „უპირატესობას ანიჭებს“, ხოლო სახელწოდებად „უპირატესობის მინიჭება“. ხშირად, *უპირატესობის მინიჭება* ნახსენებია *fadl*-ის კონტექსტში, რასაც მე ვთარგმნი, როგორც „ალაჰის კეთილგანწყობად“¹².

ხარისხი

ხარისხი შეიძლება მიენიჭოს ერთ ადამიანს ან ადამიანების ჯგუფს - სხვებთან მიმართებით. ყურანი ხაზს უსვამს, რომ, მაგალითად, თუკი ადამიანი ალაჰის გზაზე იბრძვის თავისი ქონებითა და სულით (ყურანი 4:95) ან ალაჰის გამო გადასახლებაშია/ჰიჯრამია წასული (ყურანი 9:20) მან შეიძლება ხარისხი მოიპოვოს. ყველაზე ხშირად ხარისხის მოპოვება „ქველი“ საქმის კეთებითაა შესაძლებელი, თუმცა რა იგულისხმება სიქველეში, ეს განსაზღვრული არ არის. (ყურანი 20:75; 6:132; 46:19).

ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების განსხვავება მათი საქმეების მიხედვით, პრობლემას წარმოადგენს ქალის, როგორც საზოგადოების ნაწილის, ასევე, როგორც ინდივიდის ღირებულებისთვის. მართალია, ყურანი საქმეებს განასხვავებს, მაგრამ ის არ განასხვავებს კონკრეტულ საქმეებს მათი ღირებულების მიხედვით. განსხვავებული საქმეებისადმი ღირებულების მინიჭება სოციალური სისტემის ხელში რჩება. ყოველთვის ასე იყო და „ყოველი საზოგადოება განასხვავებს ქალისა და კაცის საქმეს“.¹³ პრობლემა ისაა, რომ „კაცის საქმე ყოველთვის უფრო ღირებულად ითვლებოდა, ვიდრე ქალისა, რამდენად შემთხვევითიც არ უნდა ყოფილიყო ქალსა და კაცს შორის საქმის გადანაწილება“.¹⁴

ერთი მხრივ, ყურანი მხარს უჭერს საქმეების მიხედვით განსხვავებას, მაგრამ მეორე მხრივ, ის არ განსაზღვრავს საქმეების ღირებულებას. ეს კი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ყურანი მხარს უჭერს საქმეებისადმი მინიჭებული ღირებულების ცალკეული საზოგადოებების მიერ დაწესებულ განაწილებას. სინამდვილეში, ამ საკითხისადმი ყურანის ნეიტრალურობა ბუნებრივი მრავალფეროვნების საფუძველს ქმნის.

⁹ درجة /daraġa/

¹⁰ „შეხედე, როგორ ვამჯობინეთ ისინი ერთი მეორეს. ზესთასოფელი კი კიდევ უფრო დიდია ხარისხითა და უმეტესია მაღლით (tafdil) (17:22(21))“

¹¹ فضل /fadḍal/ უპირატესობა მიანიჭა, გამოარჩია

¹² تفضيل /tafḍīl/ უპირატესობის მინიჭება, გამორჩევა

¹³ Carol Tarvis and Carole Wade, *The Longest War: Sex Differences in Perspective*, 2nd edn. (Orlando: Harcourt BraceJovanovich, 1984), გვ. 3

¹⁴ იქვე, გვ.20

რაც შეეხება ხარისხის საქმეებით მოპოვებას, ყურანში განსაზღვრულია რამდენიმე საკითხი, რომელიც საზოგადოების მიერ საქმეების შეფასებაზე უნდა ახდენდეს გავლენას. პირველი - *ღვთისმოსაობით* შესრულებული ყველა საქმე უფრო ღირებულია. მეორე - „კაცებს - წილი იმისა, რაც მოიხვეჭეს, და ქალებს - წილი იმისა, რაც მოიხვეჭეს“ (ყურანი 4:32). საქმეები შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ საზღაური გაწეული შრომით განისაზღვრება. შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს როგორაა განაწილებული საქმეები კაცებსა და ქალებს შორის კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში.

კიდევ ერთი შედეგი იმისა, რომ ადამიანი იღებს წილს „იმისა, რასაც მოიხვეჭს“ არის ის, რომ როცა კი ვინმე თავის საქმესთან ერთად ისეთ საქმეს აკეთებს, რომელიც, როგორც წესი, მეორე სქესს მიეწერება, ის უფრო მეტად დაჯილდოვდება. მაგალითად, მოსე ორ ქალს ხვდება მიდიანიდან, სადაც, როგორც წესი, კაცები უვლიდნენ ცხოველებს. მაგრამ, რადგან ოჯახში არ იყვნენ კაცები, რომლებიც ამ საქმის გაკეთებას შეძლებდნენ (მამა მოხუცებული იყო), ქალებს მოეთხოვებოდათ, კიდევ უფრო მეტი ეკეთებინათ.

არ არსებობს მინიშნება იმაზე, თუ რამდენად ამორალური იყო ქალების მხრიდან ამ საქმის კეთება, რადგან ეს გადარჩენისთვის იყო საჭირო - გადარჩენა კი ყველა სოციალურ ნორმაზე მაღლა იდგა. ამერიკაში, მონობის გაუქმების შემდეგ შავკანიან ქალებს ასაქმებდნენ შავკანიანი კაცების მაგივრად, შესაბამისად, ბევრ ოჯახში, სწორედ ქალი გახდა შემოსავლის ერთადერთი წყარო. ამ საჭიროებას, ბავშვების აღზრდის ჩვეულ საქმიანობასთან ერთად, ქალისთვის მეტი უნდა მიეცა. მოქნილი პერსპექტივა საქმის შესრულების საჭიროებასთან ერთად ქალს მეტად წაადგებოდა. ამის ნაცვლად, ორმაგი შრომის ტვირთი აწვებოდათ ქალებს და ხშირად, ოჯახში კაცების მხრიდან ძალადობის მსხვერპლიც ხდებოდნენ, რადგან ქმრები ფიქრობდნენ, რომ მათ ადგილი წაართვეს.

ყველა სოციალურ კონტექსტში ქალისა და კაცის შრომა ისეა განაწილებული, რომ საზოგადოებამ ოპტიმალურად შეძლოს ფუნქციონირება. ყურანი არც შრომას ანაწილებს და არც მონოლითურ წყობას აყალიბებს სოციალური სისტემებისთვის ისე, რომ სრულად უგულვებელყოფდეს საზოგადოებაში არსებულ ბუნებრივ მრავალფეროვნებას. პირიქით, ყურანი აღიარებს მრავალფეროვნების საჭიროებას, როდესაც ამბობს, რომ ადამიანები „ერებად და ტომებად“ არიან დაყოფილი, „რათა ერთმანეთი შეიცნოთ“ (ყურანი 49:13). თითოეულ ჯგუფს, თითოეულ ინდივიდს - ქალსა თუ კაცს - ყურანი აძლევს საზღაურს გაწეული საქმიანობის მიხედვით.

ეს უმნიშვნელოვანესი სოციალური საყოველთაოობის პრინციპია ყურანში. ის შესაძლებლობას აძლევს და ახალისებს თითოეულ სოციალურ კონტექსტში საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციების განაწილებას, მაგრამ იყენებს სამართლიანი ანაზღაურების ერთიან სისტემას, რომელიც შეიძლება ყველა სოციალურ კონტექსტში იყოს შემუშავებული. სწორედ ესაა ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რის გამოც ზოგიერთი სოციალური სისტემა

ქალების როლის გადააზრებაზე უარს ამბობს. ყურანი არ განსაზღვრავს კონკრეტულ როლებს, ხოლო ცალკეულ ერებს ამ როლების ყველა შესაძლო ვარიანტი არ განუხილავთ.

რაც შეეხება *ხარისხს*, რომელსაც ღმერთი გვანიჭებს, კიდევ უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ხარისხი რომელიც დაუკონკრეტებელი საქმეებისთვის გვენიჭება. არსებობს ცოდნის მიხედვით არსებული გამორჩეულობა: „ამაღლებს ალაჰი თქვენგან იმათ, რომელთაც ირწმუნებს და იმათ, რომელთაც ებოძათ ცოდნა, ხარისხებით“ (ყურანი 58:11). „ჩვენ ვამაღლებთ ხარისხებს იმისას, ვისაც ვინებებთ. ყოველი მცოდნის ზემოთ კი ყოველისმცოდნეა“ (ყურანი 12:76).

არსებობს, ასევე, სოციალური და ეკონომიკური განსხვავებები: „ჩვენ დავანაწილეთ მათ შორის სარჩო-საბადებელი წუთისოფელში და ავამაღლეთ ზოგი მათგანი ზოგზე ხარისხებით (*darajat*), რათა მათმა ერთმა ნაწილმა მეორე იმსახუროს“. შენი უფლის მოწყალეობანი კი უკეთესია იმაზე, რასაც აგროვებენ“ (ყურანი 43:31(32)).¹⁵ თუმცა, ისიც ნათელია, რომ სიმდიდრე არ არის 'ნამდვილი' განმასხვავებელი მახასიათებელი, არამედ ფუნქციონალური განსხვავებაა, რომელიც ხელშესახებია კაცობრიობისთვის და ფასდება საზოგადოებაში.

ღმერთის მიერ გაცემულ ხარისხს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს - დედამიწის მკვიდრთა გამოცდა: „იგია, ვინც დაგადგინათ ქვეყანაზე შემცვლელებად. ამაღლა ზოგი თქვენგანი ზოგიერთზე ხარისხებით (*darajat*), რათა გამოგცადოთ იმით, რაც გებოძათ“ (ყურანი 6:165).

მნიშვნელოვანია განვიხილოთ აია, რომელიც განასხვავებს ხარისხებს ქალსა და კაცს შორის:

„განქორწინებულმა ქალებმა უნდა მოიცადონ, თავი შეიკავონ დედათაწესის სამი რიგის მანძილზე. ნებადართული არაა მათთვის დამაღონ ის, რაც შექმნა ალაჰმა მათ საშობებში, თუ ურწმუნიათ ალაჰი და დღე უკანასკნელი. ამ შემთხვევაში კი მათი უკან დაბრუნება უფრო სამართლიანი იქნება, ვიდრე მათი გაშვება, თუკი კაცებს სიქველე სწადიათ. მათ (ქალებს) ეკუთვნით იგივე, რაც იმას, ვინც მათზე მზრმანებლობს სიკეთით, თუმცადა კაცები მათზე (ქალებზე) ერთი საფეხურით (*darajat*) მაღლა დგანან და ალაჰი ძლევა მოსილია, ბრძენთა ბრძენი“ (ყურანი 2:228).

ამ აიას ყველაზე გავრცელებული შინაარსის მიხედვით, განსხვავებული *ხარისხი* არსებობს ყველა კაცსა და ყველა ქალს შორის, ყველა კონტექსტში. თუმცა, ნათელია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ განქორწინებაზე: კაცებს ქალების მიმართ უპირატესობა აქვთ. ყურანში კაცების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ინდივიდუალურად შეუძლიათ განაცხადონ საკუთარ ცოლთან განქორწინების შესახებ, ყოველგვარი

¹⁵ ეს ერთი-ერთი აიაა, რომელშიც ჩანს, რომ ისლამური საზოგადოება უშვებს ეკონომიკური კლასების არსებობას.

შუამავლებისა და დახმარების გარეშე. ქალს კი განქორწინების უფლება მაშინ ეძლევა, როდესაც საქმეში ავტორიტეტული ფიგურა ერევა (მაგალითად, მოსამართლე).

ამ დეტალების გათვალისწინებით, *ხარისხი* ამ აიაში განხილული კონტექსტით უნდა შემოიფარგლოს.¹⁶ განუსაზღვრელი უპირატესობის მხოლოდ ერთი სქესისთვის მინიჭება ეწინააღმდეგება ყურანის მიერ დადგენილ სამართლიანობას ინდივიდების მიმართ: თითოეულ *სულს*¹⁷ უნდა ჰქონდეს გაწეული შრომის შესაბამისი საზღაური. და მაინც, მიღებულია, თითქოს ეს აია სწორედ იმას ამტკიცებს, რისაც კაცებს სჯეროდათ და უნდოდათ, სხვებისთვისაც დაეჯერებინათ, რომ საზოგადოება იერარქიულად ფუნქციონირებს, სათავეში - კაცებით.

დაბოლოს, ეს აია ამბობს: „მათ (ქალებს) ეკუთვნით იგივე, რაც იმას, ვინც მათზე მბრძანებლობს სიკეთით (*ma'rūf*)“. ეს სიტყვა, *სიკეთე*¹⁸ გვხვდება მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ქალებისადმი მოპყრობაზეა საუბარი. პიკთალი (*Pickthall*) *ma'rūf*-ს თარგმნის სიკეთედ, მაგრამ მისი შინაარსი ბევრად უფრო ფართოა. ეს სიტყვა გამოხატავს რაღაც „აშკარას“, „კარგად ნაცნობს“ ან „საზოგადოდ მიღებულს“.¹⁹ თუმცა, როდესაც შეეხება მოქმედებას, ეს სიტყვა იძენს ასევე სამართლიანის, თავაზიანისა და მომგებიანის მნიშვნელობასაც.²⁰

ამ აიაში, ეს ხარისხის შესახებ არსებულ განაცხადს უსწრებს წინ, რაც მის უპირატესობაზე მეტყველებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანასწორი ურთიერთმოპყრობის საფუძველი უკვე არსებობს საზოგადოების პირობითი შეთანხმებით. ამის გათვალისწინებით, ქალებისა და კაცების უფლება-მოვალეობები ერთი და იგივეა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მოცემულობა შეზღუდულ პერსპექტივას უფრო გვაჩვენებს, ვიდრე უნივერსალურ წესს, რადგან პირობები ადგილისა და დროის მიხედვით განსხვავდება.

უპირატესობის მინიჭება

როგორც *ხარისხის* შემთხვევაში, ყურანი ცალსახად ამბობს, რომ ალლაჰმა ზოგიერთ ქმნილებას უპირატესობა მიანიჭა, გამოარჩია (*faddala*). როგორც *ხარისხის* შემთხვევაში, ეს უპირატესობა კონკრეტულ მოცემულობაშია განხილული. პირველ რიგში, კაცობრიობას „მიანიჭა უპირატესობა“ სხვა ქმნილებებთან მიმართებით (ყურანი 17:72(70)). შემდეგ, ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანების გარკვეული ჯგუფია გამოკვეთილი, როგორც სხვებზე

¹⁶ ამას გარდა, წინმსწრებ აიებში 221-23 დაწვრილებითაა განხილული სხვა დეტალები, რაც ქორწინებას, განქორწინებასა და ქვრივობას ეხება.

¹⁷ نفس /nafs/ სული, პიროვნება

¹⁸ معروف /ma'rūf/ სიკეთე

¹⁹ Edward William Lane, *An Arabic-English Lexicon*, 8 vols. (London: Librairie du Libon, 1980), ნაწილი 5, გვ. 2017.

²⁰ როგორც განმარტებულია მილტონ ჯ. ქოუანის მიერ (J. Cowan, *A Dictionary of Modern Written Arabic*, 3rd edn., (ed.) Hans Wehr (Ithaca, New York: Spoken Language Services, Inc., 1976))

უპირატესი.²¹ ასევე, ზოგიერთი წინასწარმეტყველია გამოკვეთილი, როგორც სხვებზე უპირატესი, რჩეული (ყურანი 2:254(253), 6:86, 17:75(55)). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „უპირატესობის მინიჭება“ არ არის შეუზღუდავი. მართალია, ყურანი ამბობს, რომ ზოგიერთი წინასწარმეტყველი სხვაზე უმჯობესია, მაგრამ დასძენს, რომ მათ არ *განასხვავებს* (ყურანი 2:285). ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ყურანში *უპირატესობა* პირობითია.

ისევე როგორც ხარისხს, უპირატესობასაც ვერ მოიპოვებ კონკრეტული საქმეების შესრულებით. მისი მინიჭება ღმერთს შეუძლია, ის ღმერთს აქვს და მას აძლევს, ვისაც თავად ინებებს, იმ ფორმით, როგორც თავად ინებებს. სხვას არავის აქვს *უპირატესობა* და ვერც გასცემს მას. ადამიანებს მხოლოდ შეუძლიათ ღვთის წყალობის მიმღებები იყვნენ.

რაც შეეხება *უპირატესობას* კაცთან და ქალთან მიმართებაში, შემდეგი აია უმნიშვნელოვანესია:

„და კაცები დგანან ქალთა ზემოთ იმით, რითაც ალაჰმა გამორჩია (*faddala*) ისინი ერთმანეთისგან, და იმით, რასაც (კაცები) ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან; პატიოსანი ქალები მორჩილნი არიან (ქმრისა) და იცავენ იმ საიდუმლოს, რაც მათ ალაჰმა ჩააბარა, ხოლო რომელთა პატიოსნების გამოც შიშობთ, შეაგონეთ მათ, სარეცელი გაუცალკევეთ და სცემეთ (კიდევ), მაგრამ თუ დაგემორჩილებიან, ნულარ გამოედევნებით მათ შემაწუხებელ გზას“. (ყურანი 4:38(34)).

საჭირო არაა იმის ახსნა, რომ ეს აია მხოლოდ „უპირატესობას“ ან „გამორჩევას“ არ ეხება. ეს აია მიღებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი აია, რომელიც კაცსა და ქალს შორის ურთიერთობას ეხება: კაცები დგანან ქალთა ზემოთ. სანამ ამას განვიხილავთ, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს ურთიერთმიმართება ორ რამეს ეფუძნება: 1. რა ტიპის გამორჩეულობაზეა საუბარი და 2. რას ხარჯავენ (კაცები) თავიანთი ქონებიდან (ქალებისთვის) - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციო-ეკონომიკური ნორმა და მოდელი.

ჩემ მიერ მოყვანილ თარგმანში, „საფუძველი“ გამომდინარეობს „*მიზეზის ბა*“-დან²², რომელიც ამ აიაშია ნახსენები. ამ წინადადებაში, ის მიანიშნებს, რომ *ბა-მდე* ნახსენები მახასიათებლები და მოცემულობები განსაზღვრულია იმით, რაც *ბა-ს* შემდეგ მოდის. ამ აიაში ეს ნიშნავს, რომ „კაცები დგანან ქალთა ზემოთ“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აიაში განსაზღვრული პირობები დაკმაყოფილებულია. პირველი პირობა არის „გამორჩეულობა“, მეორე კი ქალების

²¹ მაგალითად, აიებში 2:44(47), 2:116(122) და 7:38(40) ისრაელის ძენი „სხვა ქმნილებებზე“ გამორჩეული არიან (იგივე ტერმინი პირველ თავში, გამხსნელ სურაში, ნათარგმნია, როგორც „სამყაროები“). გამორჩეულობა როგორც წესი გაგებულია შემდეგნაირად: ისინი გამორჩეულები იყვნენ შუამავლისა და გამოცხადებების მისაღებად.

²² ეს არის „*მიზეზის ბა*,“ რომელიც არაბულ ენაში ურთიერთმიმართებით კავშირს ამყარებს წინადადების ორ ნაწილს შორის. პირველი ნაწილი დამოკიდებულია მეორე ნაწილის არსებობაზე.

მატერიალური მხარდაჭერა თავიანთი ქონებიდან. თუკი რომელიმე პირობა არაა დაკმაყოფილებული, მაშინ კაცი „არ დგას ქალთა ზემოთ“.²³

პირველ რიგში, უპირატესობაზე უნდა ვისაუბროთ. აღნიშნული აია ამბობს, რომ ქალსა და კაცს შორის არსებული პოზიციები დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ანიჭებს უპირატესობას ღმერთი. რაც შეეხება მატერიალურ უპირატესობას, მხოლოდ ერთგანაა ყურანში ნახსენები, რომ ალაჰმა კაცს ქალზე მეტი წილი მიანიჭა: მემკვიდრეობის საკითხი.²⁴ ოჯახში არსებული ქონებიდან კაცის წილი ორჯერ აღემატება ქალისას (ყურანი 4:8(7)). თუმცა, ზოგადად მემკვიდრეობა ყველა კაცის შემთხვევაში არ იქნება იმაზე მეტი, რაც ქალს დარჩება. მემკვიდრეობის რაოდენობა, პირველ რიგში, ოჯახის ქონებაზეა დამოკიდებული.

გარდა ამისა, თუკი აიაში 4:38(34) საუბარია მემკვიდრეობაზე დამყარებულ გამორჩეულობაზე, მაშინ ასეთი მატერიალური გამორჩეულობა არ არის შეუზღუდავი. ეს მიმართება უფრო ხშირად გამოიყენება „ქალთა ზემოთ“ დგომის მეორე პირობის გამო, რომელიც არის „(კაცები) ხარჯავენ თავის ქონებიდან“ (ქალებზე ზრუნვისთვის). ასე რომ, პრივილეგიებსა და პასუხისმგებლობებს შორის გარკვეული ურთიერთმიმართება არსებობს. კაცები ვალდებული არიან საკუთარი ქონებიდან გაიღონ თანხა და იზრუნონ ქალებზე, ამის სანაცვლოდ კი მემკვიდრეობიდან ორმაგი წილი ერგებათ.

თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ „ბევრი კაცი ზემოთ მოყვანილ მონაკვეთს“ იმის მინიშნებად იღებს, თითქოს კაცი უპირობოდ ქალზე მაღლა იდგეს. ისინი ასკვნიან, რომ „კაცები ღმერთმა ქალზე უპირატეს ქმნილებებად შექმნა (როგორც ძალით, ისე გონებით)“.

თუმცა, ეს ინტერპრეტაცია . . . (1) უსაფუძვლოა და (2) არ შეესაბამება ისლამის სხვა სწავლებებს. . . ეს ინტერპრეტაცია უსაფუძვლოა, რადგან ტექსტში არსადაა მინიშნება კაცის ფიზიკურ თუ გონებრივ მახასიათებლებზე.²⁵

უპირატესობის მინიჭება უპირობოდ ვერ იქნება, რადგან მოცემულ მუხლში არსად იკითხება, რომ „ისინი (მამრობითის მრავლობითი ფორმა) მათზე (მდედრობითის მრავლობითი ფორმა) გამორჩეულნი (უპირატესნი) არიან“. ეს იკითხება, როგორც *'ba'd* (ზოგიერთი) მათგანი *'ba'd* (სხვებზე) მაღლა დგას. ზოგიერთის (*'ba'd*) გამოყენება აშკარად იმას ეხება, რაც ადამიანურ კონტექსტში შეინიშნება. ყველა კაცი ყველა ქალს ყველაფერში არ ჯობნის. ზოგი კაცი ზოგ ქალს ჯობნის ზოგიერთ შემთხვევაში. ასევე, ზოგი ქალი სჯობნის ზოგ კაცს ზოგიერთ შემთხვევაში.²⁶ ასე რომ, ღმერთი რას ანიჭებს უპირატესობას, უცილობელი მაინც არ არის.

²³ Aziza al-Hibri, 'A Study of Islamic Herstory: Or How did We ever get into this Mess?', *Women and Islam: Women's Studies International Forum Magazines*, 5(1982); გვ. 218.

²⁴ ამაზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ.

²⁵ Aziza al-Hibri, *იქვე*, გვ. 217-18.

²⁶ *ba'd* ვთარგმნე, მისი ხშირად გამოყენებული მნიშვნელობით “ზოგი” “ნაწილი”. თუმცა, ასევე გამოიყენება *ba'd* + მამრობითის მრავლობითი ფორმა + *ba'd*, რაც ნიშნავს “ერთმანეთს”, რაოდენობისა

თუკი, „რასაც“ ღმერთი ამჯობინებს, უკავშირდება მხოლოდ მატერიალურს (და კონკრეტულად, მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას), მაშინ უპირატესობის ბუნება და ფარგლები ყურანში ახსნილია. მაშინაც კი, თუ „რაც“ ღმერთისთვის უმჯობესია მემკვიდრეობას ეხება, ეს ყველაზე მაინც არ ვრცელდება - მხოლოდ „ზოგიერთი“ დგას „ზოგიერთზე“ მაღლა.

კაცები დგანან „ქალთა ზემოთ“ იმ შემთხვევაში, თუ ღმერთმა ზოგიერთ კაცს მისცა ზოგიერთ ქალზე მეტი, და იმ შემთხვევაში, თუკი კაცები საკუთარ ქონებას ხარჯავენ. აქედან გამომდინარე, კაცები, როგორც კლასი, ქალებზე, როგორც კლასზე მაღლა არ დგანან.²⁷

თუმცა, ამ განსხვავების ასახსნელად, *ზემდგომობის*²⁸ უკეთ განმარტებაა საჭირო. რას ნიშნავს, როგორია მისი გამოყენება?

რაც შეეხება შინაარსს, პიკთალი მას თარგმნის, როგორც „პასუხისმგებელს“. ალ-ზამახშარის (Zamakhshari)²⁹ თქმით, ეს ნიშნავს, რომ „კაცები ქალების საქმეებზე არიან პასუხისმგებელი“. მაუდუდის (Maududi)³⁰ მიხედვით, „კაცები განაგებენ ქალების საქმიანობას, რადგან ალლაჰმა ერთი მეორის განმგებლად შექმნა...“; აზიზა ალ-ჰიბრი (Azizah al-Hibri) არ ეთანხმება ისეთ თარგმანებს, სადაც კაცები იცავენ ან არჩენენ ქალებს, რადგან „ძირითადი მნიშვნელობა აქ მდგომარეობს მორალურ წინამძღოლობასა და ზრუნვაში“,³¹ ასევე, იმიტომ, რომ:

„მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის დროს) კარგავს მუსლიმი ქალი საკუთარი თვითგამორკვევის უფლებას. . . და მაინც, კაცები ამ მონაკვეთს იყენებენ ქალებზე აბსოლუტური ავტორიტეტის დასამარებლად. ამავდროულად მონაკვეთით ამტკიცებენ კაცის ღვთიურ რჩეულობასა და თავისთავად უპირატესობას.“³²

საჭიროა რამდენიმე კითხვა დაისვას *ზემდგომობის* პირობებთან დაკავშირებით: ყველა კაცი ქალთა ზემოთ დგას? თუ მხოლოდ ოჯახურ იერარქიას ეხება ეს - ოჯახის კაცები თავისი ოჯახის ქალთა ზემოთ დგანან? ან იქნებ კიდევ უფრო შეზღუდულია, ქორწინებასთანაა დაკავშირებული, სადაც ქმრები ცოლთა „ზემოთ დგანან“? ყველა ეს ახსნა შესაძლებელია.

და სქესის დაზუსტების გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ფრაზას გარკვეული ბუნდოვანება ახლავს. შეიძლება ნიშნავდეს, რომ ქალები კაცებზე უმჯობესი არიან.

²⁷ Al-Hibri, *იქვე*, გვ. 218.

²⁸ قوامه /qiwama/ ზემდგომობა, ზედამხედველობა; მეურვეობა, მზუნველობა, მოვლა (على ვინმესი)

²⁹ *ტომი I*, გვ. 523

³⁰ *ტომი II*, გვ. 117

³¹ *Islamic Herstory*, გვ. 217

³² *იქვე*, გვ. 218

ზოგადად, ცალკეული ავტორები³³, რომლებიც ზემდგომობას მიიჩნევენ კაცების უპირობო უპირატესობად ქალების მიმართ, ამ *qiwama*-ს („ზემდგომობა“) მხოლოდ ოჯახური ურთიერთობებით არ საზღვრავენ, არამედ მთელ საზოგადოებაზე ავრცელებენ. ამის მიხედვით, კაცები, უფრო მაღლა მდგომი ქმნილებები, ყველა ქალზე, დამოკიდებულ, სუსტ ქმნილებებზე მაღლა დგანან (*qawwamuna 'ala*).

საიიდ ქუთბი (Sayyid Qutb),³⁴ რომლის ანალიზზეც ფართოდ ვისაუბრებ, მიიჩნევს, რომ *qiwama* საზოგადოებაში ოჯახს ეხება. გარკვეულწილად, ის 4:38(34) აიას განიხილავს ცოლისა და ქმრის ურთიერთობის კონტექსტში. ქუთბის აზრით, ქალზე ზრუნვა აძლევს კაცს ქალზე „ზემოთ დგომის“ პრივილეგიას.

საიიდი *ზემდგომობას*³⁵ მკაცრად მატერიალური მხარდაჭერის კონტექსტში განიხილავს. ამ აიას შინაარსს ცოლ-ქმრის ურთიერთობით შემოფარგვლის გარკვეული მიზეზი ის არის, რომ ამ აიას დანარჩენი ნაწილი სწორედ ქორწინებაში არსებულ ურთიერთობას ეთმობა. გარდა ამისა, ეს აია იყენებს ორობითის ფორმას, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ტექსტი ორს ეხება: ქმარსა და ცოლს. თუმცა, წინა აიებში საუბარია საზოგადოების ქალ და კაც წევრებს შორის ურთიერთობების სხვადასხვა პირობებზე.

მე ამ აიას ფართოდ, საზოგადოებასთან მიმართებაში განვიხილავ - თუმცა, არა როგორც კაცების თავისთავადი უპირატესობის საფუძველს, ან იმის არგუმენტს, რომ ალლაჰის თვალში კაცი ქალზე უპირატესია. იმ ფუნქციონალურ ურთიერთობას, რომელსაც ქუთბი ცოლსა და ქმარს შორის გვთავაზობს, მე საერთო სიკეთეზე განვაზოგადებ, რომელიც მთელ საზოგადოებაში ქალსა და კაცს შორის ურთიერთობას ეხება. ჩემი მსჯელობის მთავარი საგანი არის ქალის პასუხისმგებლობა და უფლება, ჰყავდეს შვილი.

საიიდ ქუთბი ამბობს, რომ „კაცია და ქალიც ალლაჰის შექმნილია და ალლაჰს ... არასოდეს აქვს მიზნად თავის ქმნილებათაგან რომელიმეს დაჩაგვრა“.³⁶ კაცია და ქალიც საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტის, ოჯახის ნაწილი არიან. ოჯახი იქმნება ერთ ქალსა და ერთ კაცს შორის ქორწინებით. ოჯახში თითოეულ წევრს გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია. ბიოლოგიური განსხვავების გამო, ქალის მთავარი პასუხისმგებლობა შვილის გაჩენაა.

³³ მაგალითად, მოვიხმობდი პიკთალს (*Pickthall*), ის ამ მონაკვეთს თარგმნის შეუზღუდავად, „კაცები ქალებზე პასუხისმგებლები არიან“ (*Men are in charge of women*). ალ-ზალამახშარი (*Al-Zamakhshari*) ნაშრომში *al-Kashshaf an Haqa'iq al-Tanzil wa 'uyun al'Aqaunl ft wujud al-Ta'unl*, 4 ტომად ((*Bayrut: Dar al- Ma'arif, n.d.*), ტომი I, გვ. 523, საუბრობს პირობებზე, რა მხრივ აყენებს ალაჰი კაცებს ქალებზე მაღლა. იმავდეს ამბობს აბას მაჰმუდ ალ-აჰყადი (*Abbas Mahmud Al-'Aqqad*), *al-Mar'ahft al-Qur'an* (*Cairo: Dar al-Hilal, 1962*) გვ. 7. საბოლოოდ მაუდუდი ამ ინტერპრეტაციას აძლევს.

³⁴ ტომი II, გვ. 648-53.

³⁵ قوامة /*qiwama*/ ზემდგომობა, ზედამხედველობა; მეურვეობა, მზუნველობა, მოვლა

³⁶ Sayyid Qutb, *Fi-Zilal al-Qur'an*, 6 vols. (*Cairo: Dar al-Shuruq, 1980*), ტომი. II, გვ. 650.

შვილის გაჩენის პასუხისმგებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: კაცობრიობის არსებობა ამაზეა დამოკიდებული. ამ პასუხისმგებლობის შესრულება მოითხოვს ფიზიკურ ძალას, გამძლეობას, ინტელექტსა და ღრმა პიროვნულ ერთგულებას.³⁷ იმის გათვალისწინებით, რომ ეს პასუხისმგებლობა ასეთი აშკარა და მნიშვნელოვანია, რა არის კაცის პასუხისმგებლობა ოჯახსა და საზოგადოებაში? იმისათვის, რომ შექმნილ სამყაროში ბალანსი და სამართლიანობა იყოს დაცული, ასევე, ჩაგვრის თავიდან ასაცილებლად, კაცის პასუხისმგებლობაც ისეთივე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ადამიანების მოდემის არსებობის გასაგრძელებლად, როგორც ქალისა. ყურანი ამ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, როგორც მზრუნველობას: იზრუნოს იმაზე, რომ ქალს არ დააწვეს ისეთი პასუხისმგებლობების შესრულების ტვირთი, რაც საფრთხეს შეუქმნის იმ პირველადი მთავარი პასუხისმგებლობის შესრულებას, რომლის შესრულებაც მხოლოდ ქალს შეუძლია.

იდეალურ შემთხვევაში, საზოგადოება, კერძოდ კი კაცები უნდა უქმნიდნენ ქალებს ყველა საჭირო პირობას ამ პასუხისმგებლობის კომფორტულად შესრულებისთვის: ეს ნიშნავს ფიზიკურად დაცვას, ასევე მატერიალურ ზრუნვას. სხვანაირად, ეს მხოლოდ „ქალების მნიშვნელოვანი ჩაგვრა იქნებოდა“.³⁸

იდეალური სცენარით თანასწორი და ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობა ისახება. თუმცა, ეს სცენარი ბევრ დღევანდელ რეალობას არ უდევს საფუძვლად. რა ხდება ისეთ საზოგადოებებში, სადაც მოსახლეობის სიჭარბესთან აქვთ საქმე, მაგალითად ინდოეთსა და ჩინეთში? რა ხდება კაპიტალისტურ საზოგადოებებში, როგორც ამერიკაა, სადაც ერთი ადამიანის შემოსავალი აღარაა საკმარისი კომფორტული ცხოვრების სტილის შესანარჩუნებლად? რა ხდება, როდესაც ქალი უნაყოფოა? ამ შემთხვევაშიც იმსახურებს *მზრუნველობას*³⁹, როგორც სხვა ქალები? რა მოსდის პასუხისმგებლობათა ბალანსს, როდესაც კაცს არ შეუძლია მატერიალურად უზრუნველყოს ოჯახი, როგორც ხშირად ხდებოდა მონობისდროინდელ და მონობისშემდგომ აშშ-ში?

ამ საკითხების გადაჭრას ვერ შევძლებთ, თუკი 4:38(34) აიას მხოლოდ ვიწრო ჭრილში განვიხილავთ. შესაბამისად, ყურანი ყოველთვის უნდა განიხილებოდეს ადამიანთა შორის მიმოცვლის კონტექსტისა და ქალებსა და კაცებს შორის საერთო პასუხისმგებლობების გათვალისწინებით. ეს აია აყალიბებს იდეალურ პასუხისმგებლობას, რომელიც კაცებს ქალების მიმართ ეკისრებათ, რომ შეიქმნას დაბალანსებული და საერთო საზოგადოება. ეს პასუხისმგებლობა არც ბიოლოგიურია, არც თავისთავადი, მაგრამ არის ღირებული. საჭიროა ამ პასუხისმგებლობისადმი მიდრეკილი დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს. ადვილია იმ შემთხვევების დანახვა, სადაც ეს არ ჩამოყალიბებულა.

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე.

³⁹ قوامه /qiwama/ – ზემდგომობა, ზედამხედველობა; მეურვეობა, მზრუნველობა, მოვლა (على ვინმესი)

თუმცა, ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ მატერიალური მზრუნველობით არ უნდა შემოიფარგლოს. ის უნდა ეხებოდეს სულიერ, მორალურ, ინტელექტუალურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებსაც. ზემდგომობის ასეთი გააზრება კაცებს საშუალებას მისცემთ მათი ღმერთისნაცვლის ფუნქცია⁴⁰ შეასრულონ დედამიწაზე, როგორც ღმერთმა დაუწესა ადამიანების მოდგმას. ასეთი დამოკიდებულებით შესაძლებელი იქნება შეჯიბრსა და იერარქიულობაზე დაფუძნებული აზროვნების დამარცხება, რომელიც ზრუნვის ნაცვლად, ანადგურებს.

კაცები მოწოდებული არიან დედამიწაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა შეასრულონ - განსაკუთრებით, ქალთან მიმართებით (ვინც შვილს აჩენს და ტრადიციულად ზრუნვის მოვალეობა აკისრია). ის, რაც ქალებმა შვილის გაჩენითა და მათზე ზრუნვით აითვისეს, კაცებმა ქალებისადმი საკუთარი დამოკიდებულებითა და მოპყრობით შეიძლება გამოსცადონ.

ურჩობა⁴¹: ოჯახური ჰარმონიის დარღვევა

ბოლოს, ამ აიას ერთ მონაკვეთს განვიხილავ და ვიმსჯელებ, რამდენად ნიშნავს ეს იმას, რომ ქალები *აუცილებლად უნდა* ემორჩილებოდნენ ქმრებს, და თუ არ დაემორჩილებიან, ქმრებს მათი ცემის უფლება აქვთ.

„პატიოსანი ქალები მორჩილნი არიან (ქმრისა) და იცავენ იმ საიდუმლოს, რაც მათ ალაჰმა ჩააბარა, რომელთა პატიოსნების გამოც შიშობთ, შეაგონეთ მათ, სარეცელი გაუცალკევით და სცემით (კიდევ), მაგრამ თუ დაგემორჩილებიან, ნულარ გამოედევნებით მათ შემაწუხებელ გზას“.

ჩემი აზრით, ეს მონაკვეთი ცოლ-ქმარს შორის ჰარმონიის დარღვევის მოგვარების საშუალებას იძლევა.

პირველ რიგში, სიტყვა *ღვთის მორჩილი*⁴² აქ გამოიყენება „კარგი“ ქალის აღსაწერად, რაც ხშირად არასწორად ითარგმნება, როგორც „მორჩილი“, რაც შემდეგ განზოგადებულად „ქმრის მორჩილებად“ მიიჩნევა. ყურანის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, ეს სიტყვა გამოიყენება როგორც კაცების (ყურანი 2:238, 3:17, 33:35) ისე ქალების (ყურანი 4:34, 33:34, 66:5, 66:12) დასახასიათებლად.⁴³ *მორჩილება* აღწერს მორწმუნის მახასიათებელს ან პიროვნული თვისებას ღმერთის მიმართ. ასეთი ადამიანები მიდრეკილი არიან სხვებთან

⁴⁰ خليفة /ḥalīfa/ – 38:25(26) 1) ნაცვალი; 2) ხალიფა

⁴¹ نشوز /nushuz/ ურჩობა, ქმრისადმი დაუმორჩილებლობა

⁴² قانتات /qanitat/ ღვთისმოსავნი, ღვთისმორჩილნი

⁴³ ეს სხვა ადამიანებზეც ვრცელდება (2:110(116), 30:26(27))

თანამშრომლობისა და ღმერთის მორჩილებისადმი. ეს აშკარად განსხვავდება უბრალოდ ორ ადამიანს შორის არსებული მორჩილებისგან, რაზეც *დამჯერობა*⁴⁴ მიანიშნებს.

საიიდ ქუთბი აღნიშნავს, რომ სიტყვების ასეთი არჩევანი იმაზე მიანიშნებს, რომ ყურანი უფრო მეტად შინაგან ემოციურ მდგომარეობაზე მიუთითებს, ვიდრე გარეგანი „ბრძანებების მორჩილებაზე“, რასაც *tā'a* უნდა აღნიშნავდეს.⁴⁵ რაც შეეხება სიტყვა *tā'a*-ს გამოყენებას და აიას დანარჩენ ნაწილს, „*ცოლი (მდედრ. მრავლობითი) რომელთა პატიოსნების გამოც შიშობთ (nushuz)...*“ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ *დაუმორჩილებლობა* გამოიყენება როგორც კაცებთან (4:128), ისე ქალებთან (ყურანი 4:38(34)), თუმცადა თითოეულის შემთხვევაში განსხვავებულადაა განსაზღვრული.⁴⁶ როდესაც ის ცოლს ეხება, ეს სიტყვა ხშირად განისაზღვრება, როგორც „ქმრისადმი დაუმორჩილებლობა“ - *tā'a*, რომელიც ამ სიტყვას მოსდევს. არსებული მოსაზრებით, ეს აია იმაზე მიანიშნებს, რომ ცოლი ქმარს უნდა ემორჩილებოდეს.

რადგანაც ყურანში *ურჩობა* გამოიყენება როგორც ქალთან, ისე კაცთან, შეუძლებელია „ქმრისადმი დაუმორჩილებლობას“ ნიშნავდეს. საიიდ ქუთბი (Sayyid Qutb) ამას განმარტავს, როგორც დაქორწინებულ წყვილს შორის წესრიგის მოშლას.⁴⁷ რა გამოსავალს გვთავაზობს ყურანი ასეთი არეულობის შემთხვევაში? 1. საუბარი: იქნება ეს ცოლსა და ქმარს შორის (როგორც ამ 4:38(34)) აიაშია) ან ცოლსა და ქმარს შორის შუამავლის დახმარებით (ყურანი 4:35, 128). თუკი მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდება, მაშინ უფრო მკაცრი ზომებისთვის მიმართვა შეიძლება: 2. დაშვებულია გაცილება, და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში: 3. დაშვებულია „ცემა“.

ქორწინებაში ჰარმონიასთან დაკავშირებით აუცილებელია შემდეგი საკითხების წამოწევა: პირველ რიგში, ყურანი უპირატესობას ანიჭებს წესრიგის მდგომარეობას და ხაზს უსვამს ამ მდგომარეობის დაბრუნების მნიშვნელობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არაა სასჯელის ზომა, რომელიც დაქორწინებულ წყვილს შორის უნდა გამოიყენებოდეს. მეორე: თუკი ნაბიჯებს იმ ყურანში გაწერილი თანმიმდევრობით მივყვებით, შესაძლებელი უნდა იყოს წესრიგის აღდგენა, ვიდრე უკანასკნელი ზომის გამოყენების საჭიროება დადგება. მესამე: მაშინაც კი, თუ მესამე ხერხი იქნება გამოყენებული, „ცემის“ ბუნება არ შეიძლება იყოს ისეთი, რომ ცოლ-ქმარს შორის ძალადობა წარმოშვას, ან წყვილს შორის დაპირისპირება, რადგან ეს „არაისლამურია“.⁴⁸

⁴⁴ *تاعة* /tā'a/ - მორჩილება, გამგონობა, დამჯერობა

⁴⁵ *იქვე*, გვ.652

⁴⁶ ნაწილი 8, გვ. 2795. *თუმცა ის განსხვავებს ცოლსა და ქმრის ურჩობასს, ასევე, განმარტავს როგორც „როცა ერთს სძულს მეორე“ ან ერთი მეორესთვის „ავისმდომი კომპანიონია“.*

⁴⁷ Qutb, *ტომი II*, გვ. 653

⁴⁸ *იქვე*

როგორც ჩანს, პირველი გამოსავალი საუკეთესო გამოსავალია და სწორედ ესაა ყურანის მიხედვით ყველაზე სასურველი გზა, რადგან სიტყვა *nushuz*-ის (ურჩობა) გამოყენების ორივე შემთხვევაში, სწორედ ამაზეა საუბარი. ასევე, ეს ზომა ჯდება ზოგადად ყურანისეულ პრინციპში, რომელიც ურთიერთმოლაპარაკებას ორ მხარეს შორის კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზად მიიჩნევს. ნათელია, რომ ყურანის მიხედვით, უმჯობესია სირთულეებიდან გამოსავლის პოვნა და წყვილს შორის მშვიდობისა და ჰარმონიის დაბრუნება, როდესაც ვკითხულობთ: „...ცოდვა არ ედოს ორივეს, თუკი მორიგდებიან მშვიდობით. მშვიდობა სიკეთეა.“ (ყურანი 4:127(128)). მშვიდობა და მორიგებაა სწორედ მიზანი და არა ძალადობა და იძულებითი მორჩილება.

მეორე გამოსავალია „*სარეცელი გაუცალკევით*“. პირველ რიგში, სარეცელის გაცალკევება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც წყვილი ხშირად იყოფს სარეცელს (რაც პოლიგამიის შემთხვევაში არ ხდება ქმარსა და ცოლს შორის). ასე რომ არ იყოს, ეს ზომა სრულიად უსარგებლო იქნებოდა. „სარეცელის გაცალკევება“ გულისხმობს, რომ მინიმუმ ერთი ღამე უნდა გაატაროს წყვილმა ერთმანეთისგან შორს. შესაბამისად, ეს დრო დამშვიდებისთვის უნდა იყოს გამოყენებული, რაც საშუალებას მისცემს კაცსაც და ქალსაც, ცალ-ცალკე იფიქრონ არსებულ პრობლემაზე. გამოდის, რომ ამ ზომასაც თანაბარი გავლენა აქვს ორივე მხარეზე.

ერთი ღამის ცალ-ცალკე გატარებას შეიძლება მრავალი ასეთი ღამე მოჰყვეს. ვიდრე წყვილი პრობლემის გადაჭრის გზას იპოვის, განშორება შეიძლება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდეს. ეს არ ნიშნავს, რომ კაცმა ამის შემდეგ საკუთარ ცოლზე ფიზიკური ძალადობა უნდა დაიწყოს. დაშორების ეს დრო საშუალებას აძლევს წყვილს, საერთო მშვიდობიანი გამოსავალი მოძებნონ, ან საბოლოოდ დაშორდნენ - განქორწინდნენ. განქორწინებასაც თავისი მოსაყდელი ვადა აქვს, სარეცელის განცალკევება ამ ვადაში მოიაზრება. შესაბამისად, ეს ზომა შეიძლება წყვილს შორის არსებული გადაულახავი განსხვავებების ზოგადი სურათის ნაწილი იყოს.

ვერ უგულებელვყოფთ იმას, რომ 4:38(34) აია მესამე გამოსავლად სიტყვა *daraba*-ს, “ცემას“ იყენებს. *Li- san al-'Arab*-ისა და *Lanes's Lexicon*-ის მიხედვით, *ცემა*⁴⁹ აუცილებლად სისასტიკეს ან ძალადობას არ გულისხმობს. ყურანში, მაგალითად, ეს სიტყვა გამოყენებულია ფრაზაში “*daraba Allah mathalan*” ... (ალაჰი აძლევს მაგალითს). იგივე სიტყვა გამოიყენება, როდესაც ვიღაც მიდის, მოგზაურობის გზას გაუდგება.

თუმცა, ეს საკმაოდ განსხვავდება ზმნის მეორე თემისგან, *darraba*: ძლიერად და განმეორებით დარტყმა. ქალთა მიმართ გადაჭარბებული ძალადობის გათვალისწინებით, რომელზეც საუბარია თანმხლებთა ბიოგრაფიებში და ყურანში დაგმობილი პრაქტიკის ფონზე (როგორცაა ჩვილი გოგონების მკვლელობა), ეს აია ქალების მიმართ ძალადობის აკრძალვად

⁴⁹ ضرب /*darab*^a/ სცემა

უნდა იქნას მიღებული. შესაბამისად, ეს არის არა ნებართვა, არამედ არსებული პრაქტიკის მკაცრი შეზღუდვა.

დაბოლოს, დღეს მუსლიმებს შორის არსებული ოჯახში ძალადობის პრობლემა ამ აიას არ ეფუძნება. მხოლოდ ერთეული კაცები სცემენ თავიანთ ცოლებს ყურანის მიერ შემოთავაზებული ოჯახური ჰარმონიის დაბრუნების ყველა ნაბიჯების გადადგმის შემდეგ. ამგვარი მოძალადის მიზანი ზიანის მიყენებაა და არა ჰარმონიის დაბრუნება. შესაბამისად, ისინი ვერ გამოიყენებენ 4:38(34) აიას თავიანთი საქციელის გასამართლებლად.

ამ აიაში სიტყვა *მორჩილების* განხილვა აუცილებელია კონტექსტის გათვალისწინებით. ტექსტში ვკითხულობთ, რომ „*თუ დაგემორჩილებიან (ta'a), ნუღარ გამოედევნებით მათ*“. ქალებისთვის ეს პირობითი წინადადებაა, და არა ბრძანება. უთანასწორო ქორწინების შემთხვევაში - რაც გამოცხადების დროს ნორმა იყო როგორც მუსლიმებს, ისე არამუსლიმებს შორის - ცოლები ქმრებს ემორჩილებოდნენ. აია ქმრებს უბრძანებს, რომ არ „*გამოედევნონ*“ მორჩილ ცოლებს.⁵⁰ აქ ხაზი იმაზეა გასმული, თუ როგორ ექცევა კაცი ქალს.

ყურანი არასოდეს უბრძანებს ქალს, ქმარს დაემორჩილოს. არსად ამბობს, რომ ქმრისადმი მორჩილება ის თვისებაა, რომელიც ქალს „უკეთესს“ ხდის (ყურანი 66:5), არც მუსლიმური თემის წევრობის წინაპირობად მოიხსენიებს მორჩილებას ქალთა ფიცში (ყურანი 60:12). თუმცა, უთანასწორო ქორწინებაში მყოფი ცოლები თავის ქმრებს ემორჩილებოდნენ, ხშირად იმიტომ, რომ სჯეროდათ, რომ მორჩილებას იმსახურებდა ქმარი, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფდა ოჯახს, მათ შორის თავის ცოლს. ასეთ შემთხვევებშიც კი, რომელიც ნორმა იყო გამოცხადების დროს, არანაირი ბმა არ არსებობს ქმრის მიერ ცოლის ძალადობის გზით დამორჩილებასთან. ასეთ განმარტებას არ აქვს ფართომასშტაბიანი გამოყენების პოტენციალი, ეწინააღმდეგება ყურანის არსსა და მოციქულის მიერ დამტკიცებულ პრაქტიკას. ყურანის ამ მონაკვეთის ასეთი გაგება მის მცდარ წაკითხვას ეფუძნება, ზოგიერთი კაცის თვითკონტროლის ნაკლებობის მხარდასაჭერად.

რაც შეეხება ზრუნვასა და მორჩილებას შორის კავშირს - ნათელია, რომ ისეთ ქმრებსაც კი, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ უნდათ საკუთარ ცოლზე ზრუნვა, სჯერათ, რომ ცოლები მათ უნდა ემორჩილებოდნენ. სინამდვილეში, მუსლიმური ქორწინების ეს ფართოდ გავრცელებული მახასიათებელი მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ აიგივებენ კაცებს ბუნებრივ ლიდერებთან, რომლებიც მორჩილებას იმსახურებენ.

რწმენა, რომ ქმარს უნდა ემორჩილებოდე, უთანასწორო ქორწინების ნარჩენია და მხოლოდ მუსლიმურ ისტორიას არ მიეკუთვნება. ასეთი ქორწინების იდეა არ განვითარებულა, თუმცა დღეს წყვილები პარტნიორებში ეძებენ ემოციურ, ინტელექტუალურ, ეკონომიკურ, სულიერ

⁵⁰ აქ ზმნა არის *bagha*, რომელსაც პიკთალი თარგმნის *სხვაგან*, როგორც „*ცუდის გაკეთება ვინმესთვის ან რამესთვის*“ (აიები 10:23, 42:42, 49:9). *ლეინის თარგმანში*, ნაწილი 1, გვ.231, ასევე გვთავაზობს ზიანის მომტან ან დამაზარალებელ ქცევას სხვა ადამიანის მიმართ, სხვა ადამიანის ჩაგვრას.

გაუმჯობესებას. მათი თავსებადობა დაფუძნებულია ურთიერთპატივიცემასა და ღირსებაზე, და არა - ქალის მხრიდან კაცის მორჩილებაზე. ოჯახი განიხილება ერთეულად, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთთანადგომაზე, არის სოციალური წყობის შემადგენელი ნაწილი და არა ინსტიტუცია, რომელიც ქალებს იმ კაცების მონებად აქცევს, ვინც მათ ყველაზე ძვირფასად შეიძენენ და შემდეგ მხოლოდ მათ მატერიალურ და ფიზიკურ საჭიროებებზე იზრუნებენ; ქალის ადამიანური განვითარების უფრო მაღალ ასპექტებს არ მიაქცევენ ყურადღებას.

თუკი ყურანი მხოლოდ ასეთი ერთეული ტიპის ქორწინებასთან მოდის შესაბამისობაში, იგი ვერ იქნება მსოფლიოში განვითარებადი ცივილიზაციების ცვალებად საჭიროებებთან და მოთხოვნებთან თავსებადი მოდელი. ყურანის ტექსტი გამოცხადების დროს ნორმად მიჩნეულ ქორწინების მოდელზე ამახვილებს ყურადღებას და ზღუდავს ქმრების ქმედებებს ცოლების მიმართ. უფრო ფართო კონტექსტში, ყურანი სირთულეების გადაჭრის მექანიზმს ავითარებს, რომელიც მოლაპარაკებებს გულისხმობს, წყვილს შორის, თუ შუამავლების თანამონაწილეობით.

რომ შევაჯეროთ, ყურანისთვის სასურველია, ქალმა და კაცმა ოჯახი შექმნან (ყურანი 4:29(25)). ოჯახი ჰარმონიული უნდა იყოს (ყურანი 4:127(128)), ერთმანეთის მიმართ სიყვარულსა და თანხმობაზე (ყურანი 30:20(21)) დაფუძნებული. ოჯახური კავშირი კაცისთვისაც და ქალისთვისაც დაცვაა: „ისინი (მდ. მრავლობითი) არიან თქვენი (მამრ. მრავლობითი) სამოსი და თქვენ ხართ სამოსი მათი“ (ყურანი 2:183 (187)). მაგრამ ყურანი არ გამორიცხავს სირთულეებს, და ყურანისავე მიხედვით, მათი გადაჭრა შესაძლებელია. თუკი პრობლემის მოგვარების ყველა სხვა გზა წარუმატებელი აღმოჩნდა, ყურანი განქორწინებასაც უშვებს.

ყურანისეულ სოციალურ რეფორმებში კონტექსტისა და ქრონოლოგიის მნიშვნელობა ქალებისთვის

როდესაც საქმე შეეხება ქალებთან დაკავშირებულ თემებს, როგორცაა, მაგალითად განქორწინება, ნათელია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ყურანში გამოცხადებული აიების თანმიმდევრობას (ამ საკითხში უფრო მეტადაც, ვიდრე სხვა თემებთან დაკავშირებით). ყურანი გამოცხადების დროს არაბეთში არსებულ სხვადასხვა გარემოებებს ეხმაურებოდა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ყურანში არ არის მითითებები კონკრეტულ უფლებებთან, მოვალეობებთან, ქალებთან მოპყრობასთან დაკავშირებით - მედინურ პერიოდამდე. „გთხოვენ, ფათვა მისცე მათ ქალთა თაობაზე, უთხარ: ალაჰი ფათვას მოგცემთ თქვენ მათ შესახებაც...“ (ყურანი 4:126(127)). მექურ პერიოდში თუ ქალი იყო ნახსენები, ზოგადად ადამიანების მაგალითად იყო გამოყენებული.

მედიური პერიოდის გამოცხადების დროს განხორციელებული სოციალური რეფორმები უკვე არსებულ პრაქტიკას უკავშირებოდა. ამ მხრივ, ასევე საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ რეფორმების უმეტესობა ქალებისთვის სასარგებლო იყო. კაცებისთვის მსგავსად სასარგებლო რეფორმები არ გატარებულა, რადგან უკვე არსებული ანდროცენტრული ნორმები კაცების საჭიროებებსა და სურვილებზე ისედაც ზრუნავდა. ყურანისეული პასუხები ძირითადად ქალებისთვის აუცილებელ სოციალურ რეფორმებს ეხებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყურანი მედიურ სურაშიც საუბრობდა ქალებთან დაკავშირებით ცვლილებების საჭიროებაზე, ამ ტექსტებს უფრო გვიანდელ საზოგადოებებზეც აქვს გავლენა. თუმცა, ეს კონკრეტული გარემოებები, რომლებსაც ეს აიები ეხება, ნათლად მიანიშნებენ იმ კონტექსტში არსებულ ნორმებზე. მეშვიდე საუკუნის არაბეთი, გენდერის ჭრილში, საერთოდ არ იყო იდეალური. აღსანიშნავია, რომ ყურანისეული რეფორმები სრულყოფილად არც გატარებულა. ცვლილებების სწრაფი ტემპი დაბრკოლებებმა შეაფერხა. ეს დაკვირვება ყურანის სოციალური რეფორმების ზოგიერთ დეტალთან დაკავშირებით მეოცე საუკუნის ავტორების მიერ გაკეთდა.⁵¹ ამ დეტალებსა და ზოგიერთ თანამედროვე დაკვირვებას ქვემოთ განვიხილავთ.

განქორწინება⁵²

განქორწინება კანონიერი გამოსავალია დაქორწინებულ წყვილს შორის შეუთავსებელი განსხვავებების არსებობისას. თუმცა, ზემოთ განხილული პირობები, რომლებიც კაცს *ხარისხს* ან უპირატესობას ანიჭებს ქალის მიმართ, ბევრისთვის მიანიშნებს ყურანში არსებულ უთანასწორობაზე - სახელდობრ, კაცს ცალმხრივი განქორწინების უფლება აქვს. ქალისგან განსხვავებით, კაცმა შეიძლება განაცხადოს „მე გშორდები“ და განქორწინების პროცედურა დაიწყოს.

კაცის ამ ძალაუფლებას გარკვეული ყურადღება თანამედროვე ისლამური სამართლებრივი რეფორმების ფარგლებში მიექცა. ზოგიერთ შემთხვევაში, კაცი ვალდებულია სასამართლოს წინაშე წარდგეს ასეთი უარყოფის დროს. მაგალითად მალაიზიაში, ქმარიცა და ცოლიც სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ და განაცხადონ ქორწინებაში არსებული პრობლემების შესახებ. სასამართლო ან თავად მოქმედებს როგორც შუამავალი ან სხვას ანიჭებს ამ როლს (ყურანი 4:38(34), 4:39(35), 4:127(128)) წყვილის დახმარებისთვის.

⁵¹ იხილეთ, მაგალითად Abdullah: *al-Na'im's Towards an Islamic Transformation: Civil Liberties, Human Rights and International Law* (New York: Syracuse University Press, 1990, რომელშიც ის განიხილავს ყურანისეული ზოგადი პრინციპების მისადაგების მეთოდოლოგიას მედინას პერიოდის კონკრეტულ, ზუსტ განცხადებებთან. ასევე, იხ. Nazirah Zein-ed-Din, 'Removing the Veil and Veiling', 1928 წლის გამოცემის თარგმანი Salah-Dine Hammoud for *Women and Islam: Women's Studies International Form Magazine*, 5 (1981): 221-7.

⁵² طلاق /ṭalaq/ – გაყრა, განქორწინება

რადგან ეს გზა ქალის ტრადიციულ პოზიციასთან თანხვედრაშია, მას არ მოუწევს დამატებით პრობლემებთან გამკლავება. მაგრამ, როცა კი გარკვეულ წინაპირობებს უყენებენ იმას, რაც ზოგადად კაცის პრივილეგიადაა მიჩნეული, კაცები უარს ამბობენ იმ მიზეზით, რომ ეს მათთვის დამატებით სირთულეებს წარმოშობს; რომ ასეთი სირთულეები არ უნდა ხვდებოდეს მათ უფლებებს და ძალაუფლება არ უნდა შეეზღუდოდ. ასეთი პირობები ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს შორის თანასწორობას აუმჯობესებს. კაცებს შეუძლიათ საკითხი ქალის თვალთ დაინახონ. მაგრამ ძალიან ცოტა კაცი იყენებს ამ გამოცდილებას ორი მხარისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებამდე მისასვლელად.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ამ აიასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ, არის თავად ქორწინების განვითარება. რადგან ქალები აღარ არიან ქორწინების სუბიექტები, არამედ სრულუფლებიან პარტნიორებს წარმოადგენენ, ჩვენი ყურადღება უფრო ფართო, ყურანისეულ სიბრძნეს უნდა მიეპყროს, რომელიც ჰარმონიულ შერიგებაზე საუბრობს: „ცოდვა არ ედოს ორივეს, თუკი მორიგდებიან მშვიდობით. *მშვიდობა სიკეთეა*“ (ყურანი 4:127(128)). „(თუ განქორწინდით თქვენს ცოლებთან) ან დაიკავეთ ისინი სიკეთით ან გაუშვით სიკეთით და ნუ დააკავებთ მათ იძულებით, რათა ავად მოეპყრათ მათ ...“ (ყურანი 2:231).

როგორც უკვე ვთქვით, უარყოფის ეს გააზრება იმ პრაქტიკის გათვალისწინებით არის ნათელი, რომელიც გამოცხადების დროს არსებობდა, თანაც არა მხოლოდ მუსლიმურ ქორწინებებში. არ არსებობს მინიშნება იმაზე, რომ ცალმხრივი უარყოფის პრაქტიკა უნდა გაგრძელდეს, ანდა თუკი გაგრძელდა, ეს პრივილეგია მხოლოდ ქმარს უნდა ეკუთვნოდეს. ყურანი ისეთ პირობებს აყალიბებს, რომლებიც გაყრისა თუ შერიგების შემთხვევაში, თანასწორ მდგომარეობაში ჩააყენებს ორივე მხარეს; ის არ აწესებს კაცებისთვის შეუზღუდავ უარყოფის უფლებამოსილებას. კაცებს ნამდვილად ჰქონდათ ეს ძალაუფლება, თუმცა მას ყურანი პირობებითა და პასუხისმგებლობებით ზღუდავს.

ის ფაქტი, რომ ყურანში არაა საუბარი ქალის მხრიდან ცალმხრივ გაყრაზე, ხშირად გამოიყენებოდა იმის მტკიცებულებად, რომ ქალებს ამის უფლება არ აქვთ. ეს დასკვნა მოგვიანებით გაკეთდა ძველი, პრე-ისლამური ჩვეულების საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც, საკმარისი იყო ქალი კარვის შესასვლელისკენ შებრუნებულიყო, სხვა მიმართულებით გაეხედა, რომ ქმრისთვის ცოლ-ქმრულ კავშირზე უარი განეცხადებინა. ყურანში არ არსებობს მინიშნება, რომ ქალს საერთოდ არ უნდა ჰქონდეს უარის თქმის უფლება.

ყველაზე მნიშვნელოვანია საერთო და მშვიდობიანი შერიგება, ან განქორწინება. ყურანი მკაფიო ზომებს იღებს იმ ქალების მიტოვებისა და ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად, რომლებიც ქმრის „ახირებაზე“ არიან დამოკიდებულები ქორწინებასა თუ განქორწინებაში.

პატრიარქატი

არაბეთის ნახევარკუნძულზე, გამოცხადების დროს, წყობა პატრიარქალური იყო: კულტურა დამყარებული იყო ბატონობასა და დაქვემდებარებაზე აწყობილ სტრუქტურაზე, რომელიც „იერარქიას მოითხოვს.“⁵³ ეს იყო ანდროცენტრულობისადმი მიკერძოებული კულტურა, სადაც კაცი და მისი გამოცდილება ნორმად იყო მიჩნეული. (ასეთ დროს, მაგალითად შემდეგი განცხადება „ყველა კაცი თანასწორია“ მინდობილია ინდივიდუალურ ინტერპრეტაციაზე, ვინ რას მიიჩნევს „კაცად“ - ზოგადად ადამიანებს, ქალების ჩათვლით, თუ მხოლოდ ექსკლუზიურად მამრ ადამიანებს).

ანდროცენტრულ კულტურებში ქალებს მხოლოდ კაცებისთვის მათი სარგებლიანობის კუთხით უყურებენ - სარგებელი კი უმთავრესად რეპროდუქციაა. იმას, რომ ყურანისეული გამოცხადების კონტექსტი ასეთი მიკერძოებულობით ხასიათდებოდა, საკმაო გავლენა აქვს გვიანდელი საზოგადოებების მხრიდან მსჯელობაზე იმის შესახებ, თუ რა სოციალურ წყობის დამყარებას ცდილობდა იმ დროს ყურანი. ყურანის მხრიდან სხვადასხვა სოციალური კონტექსტების გათვალისწინება ხშირად მეშვიდე საუკუნის არაბეთში არსებული რომელიმე კონკრეტული სოციალური წყობის მხარდაჭერადაა აღქმული.

ზოგი ამტკიცებს, რომ ისლამი არსებითად პატრიარქალური იდეოლოგიის ვარიაციაა. სხვები ამბობენ, რომ ისლამი ამქვეყნიურ იდეოლოგიაზე, მათ შორის პატრიარქატზეც, მალა დგას. რადგან ღვთის სიტყვა⁵⁴ ყველა იდეოლოგიას სცდება. ამ უკანასკნელთ შორის შეგვიძლია ორი ჯგუფი გამოვყოთ: ისინი, ვისაც სჯერა, რომ ისლამი, როგორც სახითაც დღეს არსებობს, ქალებისადმი სამართლიანია; და ისინი, ვინც მიიჩნევენ, რომ ისლამი, როგორც დღეს პრაქტიკაშია, სრულად პატრიარქალურია, მაგრამ ნამდვილი ისლამი ასეთი არ არის.⁵⁵

პატრიარქალური კონტექსტის გავლენები უნდა გავიაზროთ ყურანის უფრო ფართო პრინციპებთან მიმართებით, რომლებიც უმთავრესად ჰარმონიულ და თანასწორ სოციალურ ურთიერთობებს ისახავს მიზნად. სწორედ ეს უმთავრესი ყურანისეული მიზანი აჩვენებს ნამდვილ „სულსისკვეთებას“. ყურანის „სულსისკვეთებას“ მეოცე საუკუნის მუსლიმი მოაზროვნეები ზოგიერთი ყურანისეული განცხადების პირდაპირი გაგებით გამოყენების საწინააღმდეგოდ იყენებენ.

ყურანის ტექსტის ქრონოლოგიური პროგრესიის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ყურანი გარკვეულ მითითებებს აყალიბებს. ამ მითითებების შესრულება არ დაგვაბრუნებს წარსულში იმ სირთულეებთან, რასაც პირველი თემი აწყდებოდა. არამედ, ეს მითითებები სხვადასხვა თემს წინ, პროგრესული ცვლილებებისკენ უნდა მიუძღვოდეს - საერთო ყურანისეული

⁵³ Maria Riley, *Transforming Feminism* (New York: 1989), გვ. 102

⁵⁴ ეს ავტორი არ ასხვავებს ღვთის სიტყვასა და ისლამს, მაგრამ ამ კვლევისთვის ეს განსხვავება მნიშვნელოვანია.

⁵⁵ Aziza al-Hibri, 'Islamic Herstory,' გვ. 207

დარიგების კონტექსტში. თუკი შევზღუდავთ მომავალ საზოგადოებებს რომელიმე თემის სოციალური ნაკლოვანებების გამო - თუნდაც პირველი მუსლიმური თემის, ეს ამ დარიგების სერიოზული შებოჭვა იქნება.

ჩემი შემოთავაზებაა, იმისთვის, რომ „სრულად გწამდეთ წიგნი“ (ყურანი 3:115(119)) უნდა ამოვიცნოთ ამ წიგნის „სულისკვეთება“, მივიღოთ მისი მსოფლმხედველობა, ხედვა, და უმთავრესი მიზანი. ყურანის ანალიზით ჩვენ „ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, რა დასაბუთებები დგას მისი განცხადებების, კომენტარების, ბრძანებების უკან.“⁵⁶ „მაშინაც კი, როცა რომელიმე განკარგულების უკან არსებული მიზეზები ნათლად არაა გაცხადებული, მათი ამოცნობა რთული არ არის“.⁵⁷ მაშასადამე, ამ უმთავრესი „მიზნის“ დასანახად, საჭიროა წმინდა თავდადება, ერთგულება, ინტელექტუალური სწრაფვა, როგორც პირველი თემის წევრებს ჰქონდათ. თუმცა, ტექნოლოგიურად განვითარებული სამყაროს კონტექსტში, ასეთი ვალდებულება მოითხოვს უფრო ფართო, გლობალურ პერსპექტივას, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ადგილობრივი კონტექსტით.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ყურანი ზოგიერთი მავნე ჩვეულების მყისიერი აღმოფხვრისკენ მოუწოდებდა, უფრო ხშირად ის ეტაპობრივ ცვლილებებს უჭერდა მხარს. სულ რამდენიმე რეფორმა გატარდა სრულად, ბოლო გამოცხადებამდე. „ღმერთს რომ ყველა ეს ჩვეულება სრულად გაეუქმებინა, მრავალი პრობლემა გაჩნდებოდა ... მის ბევრ მცნებას არ დაემორჩილებოდნენ“.⁵⁸ თუმცა, სხვათა შესრულების გზები თავად ტექსტის მოქნილობითა და ჩანაფიქრით იყო გათვალისწინებული. „მიზანშეწონილად მიიჩნეოდა ...“ სრულად არ გაეუქმებინათ ზოგიერთი გასაკიცხი ტრადიცია, როგორც მაგალითად, პოლიგამია (ან მონობა), რადგან მათ გაუქმებას რიგი სირთულეები ერთვოდა.⁵⁹

ქალის სტატუსის სასიკეთო ცვლილებების გატარება შესაძლებელი იყო ნელი ტემპით, ამ ცვლილებების კონტექსტის გათვალისწინებით.

„ღმერთის მხრიდან ნებადართულობა მხოლოდ კაცის ბოროტ გულს ააშკარავებდა, მის უუნარობას, ჭეშმარიტებასა და სამართალს ჩადგომოდა სამსახურში, მის ამორალურ ხასიათს, რომელიც ყველაზე უარესი წინა-ისლამური ჩვეულებებიდან გამოჰყვა... რომ არა კაცის გონების სისასტიკე, მისი გზააბნეული სული და ბოროტი გული, ღმერთი არ მისცემდა ამდენ თავისუფლებას, ისეთი საქმე ეკეთებინა, რაც ღმერთს არ მოსწონდა და რაც დროსთან ერთად უნდა გამქრალიყო“.⁶⁰

⁵⁶ Rahman, *Islam and Modernity: Transformation of an Intellectual Tradition*, (Chicago: The University of Chicago Press, 1981), გვ. 19

⁵⁷ იქვე, გვ. 18

⁵⁸ Nazirah Zein ed-Din, *ib. სქოლიო 37*, გვ. 224.

⁵⁹ Shaykh Al-Ghalaynini, *Al-Islam Ruh al-Madaniyyah*, quoted by Nazirah Zein-ed-Din, 'Removing the Veil and Veiling', გვ. 223

⁶⁰ Nazirah Zein-ed-Din, *იქვე*, გვ. 223.

სწორედ საზოგადოების ბუნებრივი სოციალური ევოლუციის გაგრძელებაა ყურანში, რომელიც ხსნის, თუ რატომ გაატარა მრავალმა მუსლიმურმა ქვეყანამ ქალთან დაკავშირებული მეტი სამართლებრივი და სოციალური რეფორმა. ეს რეფორმები ყურანის მონაკვეთების პირდაპირი გააზრების მიღმა ტარდება და ცვლილებები ყურანის უფრო ფართო მიზანზე დაყრდნობით ხორციელდება - მაგალითად, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა უარის თქმა, პოლიგამია, მემკვიდრეობა, მოწმედ ყოფნის წესები, და ა.შ.

პოლიგამია

ბევრმა მუსლიმურმა ერმა, რომელიც ახლა პოლიგამიას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები ქორწინების ყურანისეულ გაგებაზე დააფუძნა, ასევე, ქორწინების შესახებ არსებულ თანამედროვე ისლამის პერსპექტივებზე. უთანასწორო ქორწინება გამოცხადების დროს ნებადართული იყო რათა ქალის დაცულობა ყოფილიყო გარანტირებული, რომ ნამდვილად იარსებებდა კაცი, რომელიც ქალზე იზრუნებდა. იდეალური ვარიანტი ასეთი კაცისა, გოგოსთვის მამა იყო, ზრდასრული ქალისთვის კი - ქმარი. ქორწინების ასეთ ეკონომიკურ გააზრებას - როგორცეც რამდენიმე აიას საფუძველზე ვისაუბრეთ - აქაც განვიხილავთ, პოლიგამიასთან მიმართებით.

„ხოლო თუ შიშობთ, რომ სამართლიანნი ვერ იქნებით ობოლთა მიმართ, მაშინ ცოლად მოიყვანეთ ის ქალები, რომლებიც მოგეწონებათ - ორი, სამი და ოთხი... მაგრამ თუ შიშობთ, რომ (ყველასთან ერთნაირად) სამართლიანად ვერ მოიქცევით, მაშინ (იქორწინეთ) ერთზე ... თუ არ გინდათ, რომ მართლის აღსრულებაში შეგეშალოთ ხელი“ (ყურანი 4:3).

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ეს აია ობლებთან მოპყრობას ეხება. ზოგიერთი კაცი მეურვე, რომელიც ობლად დარჩენილი გოგოების ქონების განკარგვაზე იყო პასუხისმგებელი, ვერ ახერხებდა ამ ქონების სამართლიანად განკარგვას (ყურანი 4:2). ობოლ გოგოებზე ქორწინება ამ უსამართლობიდან გამოსავლის გზად იყო შემოთავაზებული. ერთი მხრივ, ყურანმა რაოდენობა შეზღუდა - ოთხი დააწესა. მეორე მხრივ, ცოლზე ზრუნვის ეკონომიკური ვალდებულება დააბალანსებდა ობოლი ქალის ქონებას, ამ ქონების განკარგვის პასუხისმგებლობის საშუალებით. თუმცა, ძალიან იშვიათია, რომ პოლიგამიის მხარდამჭერები ამ თემაზე ობლებზე ზრუნვის ჭრილში ლაპარაკობდნენ.

უფრო მეტიც, მათი აზრით, ცოლებს შორის სამართლიანობა მხოლოდ მატერიალურია - შეუძლა თუ არა კაცს თანაბრად არჩინოს ერთზე მეტი ცოლი? ეს მოსაზრება უთანასწორო ქორწინების არქაული იდეის გაგრძელებაა, რადგან სამართლიანობა არაა დაფუძნებული დროზე, გამოხატულ სიტუაციაზე, ან სულიერ, მორალურ, თუ ინტელექტუალურ მხარდაჭერაზე. სოციალური სამართლიანობის ეს ფართო ცნებები ცოლებისადმი სამართლიანობის ფარგლებში არ მოიაზრება.

განსაკუთრებით ნათელია, რომ ამ აიაში **სამართლიანობას** დიდი მნიშვნელობა ენიჭება: სამართლიანად მოპყრობა, ქონების სამართლიანი განკარგვა, სამართალი ობლების მიმართ, ცოლებს მიმართ, ა.შ. სწორედ სამართლიანობაა პოლიგამიის შესახებ თანამედროვე განხილვების ფოკუსი. „თქვენ ვერასოდეს შეძლებთ, ერთნაირად სამართლიანად მოექცეთ ყველა ცოლს“ ვკითხულობთ 4:128(129) აიაში. ყურანის კომენტარების ბევრი ავტორი ასკვნის, რომ ყურანის მიხედვით, მონოგამია უმჯობესია. ნამდვილად შეუძლებელი იქნება ორმხრივობის ყურანისეული იდეის რეალიზება (ისინი არიან თქვენი სამოსი და თქვენ ხართ სამოსი მათი (ყურანი 2:183(187)); შეუძლებელი იქნება „სიყვარული და თანხმობა“ (ყურანი 30:20(21)) როდესაც მამა/ქმარი ერთზე მეტ ოჯახს შორისაა გახლეჩილი.

დაბოლოს, რაც შეეხება პოლიგამიის სამ გავრცელებულ გამამართლებელ არგუმენტს, ყურანში მათი პირდაპირი დაშვება არ გვხვდება. პირველი ასეთი არგუმენტი ფინანსურია: ეკონომიკური პრობლემების არსებობის დროს (მაგალითად, უმუშევრობის დროს) ფინანსურად ძლიერმა კაცმა ერთზე მეტ ცოლზე უნდა იზრუნოს. გავიმეორებ, რომ ეს მიდგომა ყველა ქალს ავტომატურად ფინანსურ ტვირთად მიიჩნევს: გამრავლებისთვის საჭირო, მაგრამ არა - გამომუშავებისუნარიანად. დღევანდელ სამყაროში ბევრ ქალს არც ჰყავს და არც სჭირდება კაცი ფინანსური მხარდაჭერისთვის. აღარც ისაა მიღებული, რომ მხოლოდ კაცს შეუძლია მუშაობა, ან მხოლოდ მან უნდა იმუშაოს, ან მხოლოდ ისინი არიან ყოველთვის ყველაზე პროდუქტიული მშრომელები. სახლს მიღმა შრომას რაც შეეხება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანაზღაურებად შრომას, ბაზარი პროდუქტიულობაზეა დამყარებული. პროდუქტიულობა კი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორიც სქესი მხოლოდ ერთ-ერთია. ნათელია, რომ პოლიგამია რთული ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად არ გამოდგება.

სხვა განმარტება, თუ რატომ უნდა ჰყავდეს კაცს ერთზე მეტი ცოლი, ეხება ქალებს, რომლებსაც არ შეუძლიათ შვილის გაჩენა. ყურანში ეს მიზეზი პოლიგამიის გასამართლებლად არ გამოიყენება. თუმცა, შვილის ყოლის სურვილი ბუნებრივია. უნაყოფო ქალი თუ კაცი არ უნდა დარჩეს არც ქორწინების და არც ბავშვის აღზრდის შესაძლებლობის მიღმა. რა გამოსავალი არსებობს, როცა ცოლი ან ქმარი უნაყოფოა და წყვილს საკუთარი შვილის ყოლა არ შეუძლია?

სამყაროში, სადაც ომი და უბედურებაა, არიან მუსლიმი (და სხვა) დაობლებული ბავშვები, რომლებსაც წაადგებოდათ უშვილო წყვილების სიყვარული და მზრუნველობა. შეიძლება, ყველა მუსლიმის პასუხისმგებლობაა მსოფლიოში ყველა ბავშვზე ზრუნვა, მაშინ, როდესაც გლობალური კატასტროფების პრობლემა გადაუჭრელი რჩება. სისხლისმიერი კავშირები მნიშვნელოვანია, მაგრამ შესაძლოა არც ისე გადამწყვეტი იყოს, თუკი საქმე მზრუნველობასა და სითბოს ეხება.

მესამე არგუმენტი, რომელიც პოლიგამიას შეეხება, ყურანით არაა დაშვებული და უფრო მეტიც, სრულიად არაყურანისეულია, რადგან კაცის ზღვარდაუდებელ ლტოლვას აძლევს

გასაქანს: თუკი კაცის სექსუალურ მოთხოვნილებებს ერთი ცოლი ვერ აკმაყოფილებს, მაშინ ორი უნდა მოიყვანოს. და შესაბამისად, თუკი ლტოლვა უფრო დიდია, სამიც დასაშვებია და მაქსიმუმ - ოთხიც. მხოლოდ ოთხი ცოლის შემდეგ ხდება ყურანისეული პრინციპები თვითკონტროლის, თავმდაბლობის, ერთგულების შესახებ აქტუალური.

რამდენადაც თვითკონტროლი და ერთგულება ცოლისათვის თავიდანვე სავალდებულოა, ეს თვისებები ქმრისთვისაც თანაბრად მნიშვნელოვანია. ნათელია, რომ ყურანი არ უსვამს ხაზს მაღალ, ცივილურ დონეს მხოლოდ ქალებისთვის, კაცებს სხვასთან ურთიერთობების ყველაზე დაბალ დონეზე არ ტოვებს. სხვანაირად, ზრუნვის საერთო პასუხისმგებლობა ადამიანების მხოლოდ ნახევრის ვალდებულება იქნებოდა, დანარჩენები კი ცხოველურ დონეზე იქნებოდნენ დატოვებული.

მოწმე

ქალი, როგორც პოტენციური მოწმე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ყურანში ქალების შესახებ არსებულ თანამედროვე დისკუსიაში. შეიძლება ვთქვათ, რომ რადგან ერთი მოწმე კაცი ორ მოწმე ქალს უტოლდება, ზოგადადაც ერთი კაცი ორ ქალს უდრის? შესაბამის აიაში ვკითხულობთ, რომ იმისთვის, რომ „დაწეროს ვინმე მწერალმა..“ „თუ ასესხებთ ერთმანეთს რაიმეს“, საჭიროა ორი მოწმის არსებობა. „თუ ორი კაცი არ არის, მაშინ ერთი კაცი და ორი ქალი იხმეთ - ის მოწმენი, რომლებზედაც თანახმანი ხართ. და თუ ერთ ქალს შეეშლება (*tudilla*) მეორემ შეახსენოს... (ყურანი 2:282). ამ აიას მიხედვით, ორივე ქალი მოწმედ არ არის მოწვეული, ერთ-ერთი მათგანი საჭიროა, რომ მეორეს „შეახსენოს“: მეორე ქალს დამადასტურებლის ფუნქცია აქვს. ქალი ორია, მაგრამ ორივე განსხვავებულ ფუნქციას ემსახურება.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია კონტექსტი, რის გამოც ერთზე მეტი მოწმის მოყვანა ხდება საჭირო. ერთზე მეტი მოწმის მოყვანის მიზანია, ხელშეკრულების პირობებში თავიდან აირიდონ - განზრახ თუ უნებლიე - შეცდომები. ფაზლურ რაჰმანი (*Fazlur Rahman*) გამონაკლისს უშვებს ამ აიას პირდაპირი ფორმულირების გამოყენებისას ყველა მომავალ გარიგებაში, შემდეგნაირად:

... ქალის ჩვენება კაცისაზე ნაკლებ სანდოდ მიიჩნეოდა, რადგან ითვლებოდა, რომ ქალის მეხსიერება ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, კაცთან შედარებით მოიკოჭლებდა. მაგრამ როდესაც ქალები ასეთ საკითხებში ერკვევიან - რაშიც არათუ არაფერია დასაძრახი, არამედ საზოგადოების განვითარებას ეხმარება - მათი ჩვენება კაცისას უტოლდება.⁶¹

შესაბამისად, აია კონკრეტულ გარემოებებს მიესადაგება, რომლის ცვლილებაც შესაძლებელია და რომელიც ამ დროისათვის მოძველდა კიდევ. თუმცა, ვერსად ვნახე განმარტება, რომელიც შეცდომის მიზანმიმართულად დაშვების საკითხს განიხილავს. ორი მოწმის ყოლა,

⁶¹ *Rahman, Major Themes in the Qur'an (Chicago and Minneapolis: 1982) გვ. 49.*

„რომლებზედაც თანახმანი ხართ“ პირველ რიგში მოტყუების პრევენციის მცდელობაზე მიუთითებს. თუკი ერთი მოწმე შეცდომას დაუშვებს, ანდა მას ცრუ ჩვენების მიცემაზე დაიყოლიებენ, მეორე მოწმე დაიცავს ხელშეკრულების პირობებს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ქალები შეიძლება იმ დროინდელი საზოგადოების წნეხის ქვეშ აღმოჩენილიყვნენ. შესაბამისად, თუ მოწმე მხოლოდ ერთი ქალი იქნებოდა, კაცი ადვილად შეძლებდა მასზე ზეწოლას ჩვენების შეცვლის მიზნით. ორ ქალ მოწმეს ერთმანეთის მხარდაჭერა შეუძლია - თანაც, თუკი დავაკირდებით, გამოყენებულ სიტყვას „თუ ერთ ქალს შეეშლება (*tudilla*), მეორემ შეახსენოს (*tudhakkira*)“; შეახსენოს ან ხელშეკრულების პირობაზე ყურადღება გაამახვილებინოს. ეს ერთი გუნდი, რომელიც ორი განსხვავებული ფუნქციის მქონე ქალისგან შედგება, არა მხოლოდ თითოეული ქალის ღირსებას უსვამს ხაზს, არამედ მათგან ერთიან ფრონტს აყალიბებს სხვა მოწმეების წინააღმდეგ.

ასევე უნდა ითქვას, რომ ერთი კაცი მოწმე და ორი ქალისგან შემდგარი გუნდი არ ნიშნავს 2=1 ფორმულას. ასე რომ იყოს, ოთხ ქალ მოწმეს შეეძლებოდა ორი კაცი მოწმის ჩანაცვლება. მაგრამ ყურანი ამ ალტერნატივას არ გვთავაზობს. სოციალური შეზღუდვების მიუხედავად, გამოცხადების დროს - ქალების გამოუცდელობისა და მათზე ზეწოლის კონტექსტში - ქალი მაინც განიხილებოდა პოტენციურ მოწმედ.

მაშინაც კი, როდესაც ქალები სოციალურად, ფინანსურად, გამოცდილების მხრივ შეზღუდულები იყვნენ, ყურანი ქალის შესაძლებლობების პოტენციალს აღიარებდა. დღეს, თანამედროვე დროში, ქალის შესაძლებლობების ასეთი რევოლუციური აღიარება უნდა გამოიხატოს მორალურ და სამართლიან სოციალურ სისტემაში ქალის როლის ზრდაში, იმისთვის, რომ დასრულდეს ქალებისა და სხვების ჩაგვრა საზოგადოებაში. ასეთი სოციალური წყობის მიღწევა მხოლოდ ქალებისა და კაცების განათლებისა და გამოცდილების ზრდის წახალისებითაა შესაძლებელი.

დაბოლოს, მოწმეების საკითხი ამ აიაში კონკრეტულად გარკვეული სახის ფინანსურ ხელშეკრულებებს უკავშირდება. ის არ იყო გათვლილი ზოგად წესად გამოყენებისთვის. ყველა ჯერზე, როდესაც ყურანი არ აკონკრეტებს მოწმის სქესს, ანდროცენტრული ხედვის გამო, ეს მოწმე ყოველთვის აღიქმება, როგორც კაცი. არსებული ფორმულის გამოყენებით, საჭირო იქნება ორჯერ მეტი ქალი - არა მხოლოდ როგორც მოწმე, არამედ ქალის ჩართულობის ყველა სხვა ასპექტში.

ფინანსურ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ეს შეზღუდვა არ ვრცელდება სხვა საკითხებზე. ორი ქალისა და ერთი კაცის მოწმედ ყოლის საჭიროება ფინანსური ხელშეკრულების გაფორმების დროს არ არის ქალის ჩართულობის ზოგადი წესი, ის მოწმედ ყოფნის სხვა შემთხვევებზეც კი არ ვრცელდება. სხვა შემთხვევაში მოწმედ ყოფნის პირობები გენდერულად არ უნდა იყოს განსაზღვრული, შესაბამისად, ყველა, ვისაც შეუძლია მოწმე იყოს, აქვს კიდევ ამისი უფლება.

მემკვიდრეობა

ორი უდრის ერთს - ეს მათემატიკური ფორმულა, შეცდომით განამტკიცა მემკვიდრეობის შესახებ ყურანისეული მსჯელობის გამარტივებულმა გაგებამ. მართალია, ყურანისეული სიტყვები 4:12(11)-13(12) აიაში “მამაკაცის წილს ორი მდედრისა“ (დედმამიშვილისა)-ს უტოლებს, მაგრამ თუკი ამ აიას ერთიანად შევხედავთ, ის ქალებსა და კაცებს შორის პროპორციული განაწილების რამდენიმენაირ ვერსიას გვთავაზობს. მეტიც, თუკი შვილებიდან მხოლოდ ერთია ქალი, მას მემკვიდრეობის ნახევარი ხვდება. ამას გარდა, სხვადასხვანაირი კომბინაციის განხილვისას გათვალისწინებულია მშობლები, დედმამიშვილები, შორეული ნათესავები და შთამომავლები. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ეს მოდელი (ქალს ქონებიდან კაცის წილის ნახევარი ხვდებოდა) ქონების განაწილების არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი შესაძლო მოდელია.

მემკვიდრეობის განაწილების ყველა შესაძლო ვერსიაში ორი საკითხია ხაზგასმული: 1. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ქალი მემკვიდრეობის გარეშე, თუნდაც შორეული ნათესავი იყოს ის. ეს განსაკუთრებით ეხება ჯერ კიდევ არსებულ ისლამადელ წესჩვეულებებს, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობა ხვდება რომელიმე ნათესავი მამაკაცის ქალ შთამომავალს, რამდენად შორეულიც არ უნდა იყოს ის. 2. მემკვიდრეობა ნათესავებს შორის სამართლიანად უნდა განაწილდეს. ამ აიების მიხედვით, მემკვიდრეობის განაწილების „სამართლიანობის“ პრინციპში კი გათვალისწინებული უნდა იყოს *სარგებელი*.⁶²

ყურანში არსებული დებულებები ასევე მოითხოვს სხვა საკითხების გათვალისწინებას რომლებმაც შეიძლება მემკვიდრეობის განაწილებაზე იმოქმედოს, გარდაცვლილსა და მის მემკვიდრეებთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემოებების მიხედვით. მემკვიდრეობის განაწილებისას ასევე საჭიროა ოჯახის ყველა წევრის, მათი კომბინაციებისა და უპირატესობების გათვალისწინება. მაგალითად, თუკი ოჯახში ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილია, დაქვრივებულ დედას კი ერთ-ერთი ქალიშვილი არჩენს, რატომ უნდა მიიღოს ვაჟმა მემკვიდრეობის უფრო დიდი ნაწილი? შეიძლება ასეთი გადაწყვეტილება სულ არ იქნას მიღებული, თუკი კონკრეტული შთამომავლის სარგებელს შევხედავთ.

ყურანი ყველა შესაძლო ვერსიას არ განიხილავს. თუმცა, გვაწვდის სხვადასხვაგვარ სცენარებს, რაც ნათლად აჩვენებს, რამდენად მრავალფეროვანი კომბინაციები შეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდევ, რომელიც მემკვიდრეობის სამართლიანი განაწილებისთვის აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

დაბოლოს, ქონების ერთი მესამედის ანდერძით დატოვება შეიძლება სურვილისამებრ ნებისმიერი ადამიანისთვის, ეს დარჩენილი ქონების წილებზე გავლენას არ ახდენს. ეს

⁶² نفعة /naf'a/ სარგებელი

საკმაოდ მოქნილი პირობაა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანობის პრინციპი კვლავ დაცული უნდა იყოს.

მოკლედ რომ ვთქვათ, მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სამი საკითხია გასათვალისწინებელი: 1. ქონება უნდა განაწილდეს ქალ და კაც ნათესავებს შორის. 2. ქონების ნაწილი შეიძლება ანდერძით გადაეცეს. 3. გათვალისწინებული უნდა იყოს დარჩენილი ოჯახის წევრების მდგომარეობა, მათი სარგებელი გარდაცვლილისთვის და მიღებული მემკვიდრეობის უპირატესობები.

კაცის ავტორიტეტი

მართალია, ყურანისეული განხილვის საზოგადოებრივი საფუძველი არსებული სოციალური სისტემა იყო, მაგრამ ტექსტი ასევე გვაწვდის ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სოციალური პრობლემების სხვა კონტექსტებში გადაჭრის გზებზე ვიმსჯელოთ. რაც შეეხება ავტორიტეტს, იმ დროს პატრიარქალური წყობა იყო გაბატონებული. როგორც სხვა სოციალურ საკითხებზე საუბრისას, ყურანში შემოთავაზებული სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადაჭრის გზებიც უძველეს არაბეთში არსებულ განწყობებს ასახავს.

ყურანისეული მმართველობის პრინციპი იგივეა, რაც ნებისმიერი სხვა დავალების შესრულების პრინციპი - საქმე მან უნდა ითაოს, ვინც ამისთვის ყველაზე შესაფერისია. შესაფერისობა განისაზღვრება დავალების შესრულებისთვის საჭირო პიროვნული მახასიათებლებისა და უნარების მიხედვით: ბიოლოგია, ფსიქოლოგია, განათლება, ფინანსები, გამოცდილება, ა.შ. ეს პრინციპი მოქმედებს სხვადასხვა კომპლექსურ სოციალურ ფორმებში: ოჯახი, საზოგადოება, და ზოგადად - მმართველობა.

რაც შეეხება მმართველობას, უძველესი (და თანამედროვე) არაბული პატრიარქატი კაცებს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს. ნათელია, რომ სადაც კაცებს საჯარო პრივილეგიები, გამოცდილება, და სხვა უპირატესობები ჰქონდათ, სწორედ ისინი იყვნენ პოლიტიკურ და ფინანსურ სფეროში მუშაობისთვის ყველაზე შესაფერისები. აქედან გამომდინარეობს მცდარი დასკვნა, რომ კაცებს ყოველთვის ექნებოდათ ეს უპირატესობები, რომლებიც მათ მმართველობისთვის ყველაზე შესაფერის კანდიდატებად აქცევდა. თუმცა, ეს პრივილეგიები, ყურანის მიხედვით, მხოლოდ კაცებისთვის არაა განკუთვნილი. თუკი ქალს აქვს მოტივაცია, შესაძლებლობები მისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ქალის შესაძლებლობა ... გახდეს „ყველაზე შესაფერისი“ რიგი საქმიანობების შესასრულებლად, დღეს ნამდვილად მეტი უნდა იყოს, ვიდრე თოთხმეტი საუკუნის წინ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალებსა და კაცებს განსხვავებულ შესაძლებლობებზე ჰქონდათ წვდომა, გამოცხადების დროსაც კი, ყურანში არ გვხვდება მითითება იმ მოსაზრების მხარდასაჭერად, რომ კაცები ბუნებრივი ლიდერები არიან. პატრიარქალური არაბეთის

კონტექსტშიც კი, ყურანი ქალი მმართველის მაგალითს გვაძლევს. როგორც უკვე ვახსენეთ, ბილკისი საკმაოდ დადებითადაა ყურანში დახასიათებული.⁶³ უფრო მეტიც, წინასწარმეტყველების გარდა, ისაა ერთადერთი მმართველი, რომელიც ყურანში დადებითადაა მოხსენიებული. ყურანი ახასიათებს მას როგორც ბრძენ, დამოუკიდებელ მმართველს.

ყურანი არ ზღუდავს ქალებს ხელმძღვანელის პოზიციის დაკავებისგან - ქალს შეუძლია იყოს როგორც ქალების, ასევე ქალებისა და კაცების ხელმძღვანელი. თუმცა, არსებობს მინიმუმეზა ყურანის მიხედვით, რომელიც საზოგადოებაში შესრულებული საჭირო ამოცანების ყველაზე ეფექტურად შესრულებას უჭერს მხარს. ვერავინ იქნება ყველა სიტუაციისათვის თანაბრად შესაფერისი, ქალი იქნება თუ კაცი. თუნდაც თანამედროვე პატრიარქალური საზოგადოებების იძულება, დაემორჩილონ ქალ მმართველს, ამ საზოგადოების ჰარმონიული კეთილდღეობისთვის იქნებოდა საზიანო.

თუმცა, საქმის შესრულებისთვის ყველაზე შესაფერისი ადამიანის შერჩევა დინამიური პროცესია. არსებული ვითარების მუდმივი შეფასება უნდა გვაწვდიდეს საკმარის ინფორმაციას ნებისმიერი დავალების შესრულებისთვის საჭირო კვალიფიკაციების შესახებ. უფრო დამოუკიდებელი და გამჭრიახი ქალი შეიძლება მეტად შესაფერისი იყოს მომავალში ხალხის გასაძღოლად. ასევე, შესაძლებელია ქმარი უფრო მომთმენი იყოს შვილების მიმართ. შეიძლება არა მუდმივად, მაგრამ დროებით მაინც, თუკი ცოლი ცუდად გახდება, ქმარს უნდა შეეძლოს ამ დავალების შესრულება. როგორც ლიდერობა არაა ყველა კაცის მახასიათებელი, ასევე არაა ბავშვის მოვლის უნარი ყველა ქალისთვის დამახასიათებელი.

ბავშვის მოვლა

კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ ბევრ საზოგადოებაში არსებული გაბატონებული სისტემის გამო, ბავშვის აღზრდელის როლი უფრო ქალისთვის შესაფერისად ითვლება. იმის გამო, რომ ბევრ ოჯახში, ბევრ ქალს აქვს „ფემინური“, აღზრდისადმი მიდრეკილი ტემპერამენტი, ხელსაყრელ ფაქტორად იქცა კაცის მიერ შექმნილი წინასწარგანწყობის გასამტკიცებლად, თითქოს ეს თავისთავადი მოცემულობა ყოფილიყო.

ყურანი ორივე მშობელს აძლევს უფლებებს ბავშვების მიმართ, და ორივეს აძლევს საშუალებას ემოციურად დაუახლოვდნენ მათ: „არ დაზარალებს დედა პირმშოს გამო და არც მამა პირმშოს გამო და მემკვიდრეს - მსგავსად ამისა“ (ყურანი 2:233). ეს აია უფლებას აძლევს დედას ძუძუ აწოვოს ბავშვს, მაგრამ ასევე, აძლევს თავისუფლებას: „და დედებმა ძუძუ აწოვონ თავიანთ

⁶³ იხ. ყურანში ბილკისის შესახებ დეტალური განხილვა მეორე თავში. ბილკისი შებას დედოფალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ის მმართველი იყო, მუსლიმების უმრავლესობა ქალისთვის შეუფერებლად მიიჩნევს, ხელმძღვანელის როლში ყოფნას. ყურანი არსად ახსენებს, რომ მმართველის როლი ქალისთვის შეუფერებელია, პირიქით, ბილკისს ყურანი აქვს თავისი პოლიტიკური თუ რელიგიური საქმეებისთვის, ვადუდი, გვ. 40.

შვილებს . . . ვისაც სურს, რომ ძუძუთი კვება იყოს მოთავებული“. (ყურანი 2:233) თუკი დედა გადაწყვეტს, რომ „შვილებს აუყვანოს ძიძა (მეძუძური ქალი), ცოდვა არა გქონდეთ“ (ყურანი 2:233). ბავშვის აღზრდის ასეთი ძირეული ნაწილიც კი ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული.

თუმცა, როგორც ტენდენცია გვიჩვენებს, ბავშვის მოვლის უამრავი საკითხი - ასევე, სახლის საქმეები - ქალს მიეწერება. საქმის ასეთი განაწილება შეიძლება ზოგიერთი ოჯახისთვის ხელსაყრელი იყოს, თუკი მამა სახლის გარეთ მუშაობს და ოჯახს მატერიალურად არჩენს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს მხოლოდ ერთ-ერთი გამოსავალია და ცალსახა ყურანისეული მხარდაჭერა არ გააჩნია.

ოჯახებში, სადაც ქალიცა და კაციც უზრუნველყოფს ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას, არასამართლიანია, მხოლოდ ქალს ევალებოდეს საოჯახო საქმე. თუკი ქალი ახერხებს და მეტ სიკეთეს აკეთებს მეტი საქმიანობით, კაცსაც აქვს მსგავსი შესაძლებლობა, სიკეთე გაიმრავლოს - საშინაო საქმითა და ბავშვების აღზრდით. ამის გარდა, ეს ბავშვებსაც დაანახებს, რომ ყურანისეული შეფასების სისტემა არ აკონკრეტებს, რომელ კეთილ საქმეზეა საუბარი: „ხოლო ის, ვინც კეთილ საქმეს აღასრულებს, - კაცი თუ ქალი - თუკი იგი მორწმუნებაა, შევიყვანთ სამოთხეში“ (ყურანი 4:123(124)).

თანამშრომლობის ასეთი მოქნილი, ერთიანი, დინამიური სისტემა სასარგებლოა მრავალგვარი ოჯახისა და საზოგადოების ტიპისთვის. ეს მიდგომა ჯეროვნად აფასებს ისეთ ოჯახებს თანამედროვეობაში, სადაც მხოლოდ ერთი მშობელია. თუკი ოჯახს ქალი უძღვება, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა, ავტორიტეტი და ზედამხედველობა მას ეკისრება. ასევე, ქალიშვილებმა შეიძლება აიღონ შორეული ნათესავებისა და შშმ მეუღლეების პასუხისმგებლობები საკუთარ თავზე.

როდესაც ყურანი დანახულია ერთიანად, და არა როგორც მხოლოდ მისი ნაწილების კრებულად, საზოგადოებაში ქალის როლისა და მისი შესაძლებლობის აღქმაც აუცილებლად უფრო ფართო ხდება, ვიდრე მხოლოდ დამამცირებელი და უმნიშვნელო არსებობა, რომელსაც ქალის როლი გამრავლების უნარის მქონე ცხოველამდე ან შინამოსამსახურეობამდე დაჰყავს. ასევე, მნიშვნელობასა და აღიარებას იძენს ქალის უნარები და ჩართულობა სახლის საქმიანობაში იმდენად, რომ თუკი ვინმეს ქველი საქმის კეთება უნდა, ამ სახის საქმიანობის შესრულებას მიეშურება.

თუკი ისლამური საზოგადოების მიზანია ყურანის ნების აღსრულება ამ საზოგადოების გულწრფელი წევრების უფლებებთან, პასუხისმგებლობებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მაშინ მათ, ვისაც სწამთ ყურანისა, ქალისთვის ისეთივე განვითარების შესაძლებლობების არსებობა და პროდუქტიულობა უნდა სურდეთ, როგორც კაცისთვის ითხოვენ. კაცებსაც, მატერიალური საკითხების მოგვარების გარდა, თანაბრად უნდა ევალებოდეთ ოჯახზე ზრუნვა და შვილების აღზრდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ორივე საქმე სრულყოფილი და სასარგებლო იქნება როგორც მეუღლეებისთვის, ასევე ოჯახისა და

საზოგადოებისთვის. მხოლოდ ასე შეიძლება განხორციელდეს ნამდვილი
დემოკრატიის განხორციელება. ოჯახი ამ პრაქტიკის დანერგვის პირველი ეტაპია. როგორც მოციქული
ამბობს, „თქვენს შორის ისაა საუკეთესო, ვინც თავისი ოჯახისთვისაა საუკეთესო...“



მრავალფეროვნება!
სოლიდარობა!
თანასწორობა!

